

ბიოსფერული რეზერვატი, როგორც უსაქლავლობა

4 აპრილს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის საკონფერენციო დარბაზში, პროექტის „დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატის დეგრადირებული ეკოსისტემების აღდგენა მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკისა და ინვესტირების წახალისებით“ დაინტერესებულ მხარეებთან საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე წარმოდგენილი იყვნენ შემდეგი ორგანიზაციები: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, დედოფლისწყაროს მერია, ადგილობრივი მოსახლეობა, ფერმერები, მენარეები, ადგილობრივი პრესის, კერძო სექტორის წარმომადგენლები და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი.

რა პრობლემაა საუბარი?

საქართველოს გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა (MEPA) და გაერთიანებული ერების გარემოსდაცვითი (UNEP) თანამშრომლობით, ეროვნულ და ადგილობრივ პარტნიორებთან ერთად, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მხარდაჭერით, ახალ პროექტს ჩაეყარა საფუძველი. პროექტის აღმასრულებელი ორგანიზაციაა კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (RECC).

პროექტის კონცეფცია და საპროექტო წინადადებების მოსამზადებელი ჩარჩო GEF-მა 2023 წლის პირველ ივნისს დაამტკიცა, სრული პროექტი GEF-ის სამხედროს 2024 წლის მაისში უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად. საპროექტო დოკუმენტის მოსამზადებელი ეტაპი მოიცავდა შემდეგ ნაბიჯებს: დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებს, საბაზისო შეფასებებს, პროექტისთვის განსაზღვრული ინდიკატორების შემუშავებას, დეტალური სამუშაო გეგმისა და ბიუჯეტის განერას, მენეჯმენტის ღონისძიებების განსაზღვრას და ასევე, პროექტის პარტნიორებისგან თანადაფინანსების წერილობით უზრუნველყოფას.

შეხვედრის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები იყო:

1. პროექტის შემოთავაზებული აქტივობების განხილვა.
2. ადგილობრივ დონეზე მხარეების საქმიანობების განხილვა.
3. პროექტის გენდერული და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის სამოქმედო გეგმების განხილვა.

„პროექტის მიზანი დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასთან ერთად, მისი მდგრადი მართვისა და დეგრადირებული ეკოსისტემების აღდგენის ხელშეწყობაა. აღნიშნული პროექტი სამი კომპონენტისგან შედგება. პირველი კომპონენტი ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მისი მდგრადი მართვის საკითხებზე ეროვნული კანონმდებლობის, პოლიტიკისა და შესაძლებლობების გაძლიერებაა, რომლის ფარგლებშიც დარგთაშორისი და მრავალდონიანი კოორდინაციისა და მმართველობის მექანიზმები ხელმისაწვდომი და მოქმედი. გარდა ამისა, დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატის ინტეგრირებული და ერთობლივი დაგეგმვისა და მართვის მხარდასაჭერად, განახლებულია კანონმდებლობა. ასევე,



ბიოსფერული რეზერვატის მდგრადი მართვისთვის გაძლიერებულია ინსტიტუციური და ტექნიკური საშუალებები. მეორე კომპონენტი, დედოფლისწყაროს ბიოსფერულ რეზერვატში ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის და დეგრადირებული ეკოსისტემების აღდგენის შედეგების დემონსტრირებაა, რომლის განსახორციელებლადც საჭიროა მდგრადი ეკოტურიზმის შესახებ ტრენინგის განხორციელება, ეკოტურიზმის პროდუქტების განვითარების მხარდაჭერა, მწყემსების ტრადიციების სოციალური და ეკოლოგიური ასპექტების ხელშეწყობა ტურისტული პროდუქტის - „მწყემსი ბიჭის ბილიკის“ გაფართოების გზით და შერჩეული მეცხვარის საცხოვრებლის ძველი ტრადიციის მიხედვით მონყობა-აღდგენით, ასევე ადგილობრივი პროდუქტების ბრენდინგისა და მარკირების სქემის ჩამოყალიბება. ამასთანავე საჭიროა ადგილობრივი მმართველობის შესაძლებლობების გაძლიერება და ბრენდინგის და მარკირების სქემის პილოტირება მინიმუმ 2 პროდუქტისთვის. ცირკულარული ეკონომიკის მოდელის საფუძველზე ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა ჩალის (ნამჯის) საოჯახო სასტუმროების დახმარებით. ეკოტურიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, გეო-ბილიკების ქსელის განვითარება ამბის გადმოცემის ტექნიკით და ინტერპრეტაციის ინფრასტრუქტურით. მეორე კომპონენტი ასევე მოიცავს ჯეირნისა და პირუტყვის ურთერთქმედების შესწავლას, კონსერვაციის გეგმის მომზადებას, ჯეირნის კონსერვაციისთვის პასუხისმგებელი პერსონალის შესაძლებლობების გაზრდას, ბიომრავალფეროვნების ადამიანური და ტექნიკური შესაძლებლობების გაზრდას. რაც შეეხება მესამე კომპონენტს, ესაა ცოდნის მართვა, რომელშიც განიხილება სკოლის მოსწავლეებისთვის ბუნებაში ცოდნის დღეების ორგანიზება და მათთვის მრავალფეროვანი პროგრამების შეთავაზება, მათ შორის ვაშლოვანის ეროვნული პარკის, ჭაჭუნას ალკეითლის ბუნების ძეგლების და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მონახულება,

ასევე ბიოსფერულ რეზერვატში სასკოლო ეკოკლუბების გაძლიერება, დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატის შესახებ ცნობადობის გაზრდა და სარეკლამო მასალების მომზადება“ აღნიშნა პროექტის საზოგადოებისთვის გაცნობისას **თაქონა ცხორებაში, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (RECC) წარმომადგენელმა.**

შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა, **თაქონა ქარჩაში, ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის დაცული ტერიტორიების პოლიტიკის სამმართველოს უფროსმა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან, რომელმაც აღნიშნა: „სამინისტროსთვის ბიოსფერული რეზერვატი მნიშვნელოვანი პროექტია. წინ გველოდება ძალიან მნიშვნელოვანი პრაქტიკული სამუშაო, რაც დიდ დროს, ფინანსურ რესურსსა და თითოეული თქვენთაგანის ჩართულობას მოითხოვს. ეს პროექტი მნიშვნელოვანია არა მარტო იმიტომ, რომ ბიომრავალფეროვნების დაცვა ხდება, არამედ იმიტომაც, რომ ამასთან ერთად, ბიოსფერული რეზერვატი ადგილობრივი მოსახლეობის ხელშეწყობას და ადგილობრივი თვითმმართველი მუნიციპალიტეტების განვითარებასაც ემსახურება. მოხარულნი ვართ, რომ მოგვეცა დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა. აღნიშნავ იმასაც, რომ წინა მოსამზადებელმა ფაზამ ძალიან კარგად ჩაიარა. ახლა კი, თქვენი მოსაზრებები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ პროექტის საბოლოო გეგმაში აქტივობების ყველაზე სწორი და სრულყოფილი გზით დაგეგმვის პროცესში“.**

მალხაზ მირაბიჟიშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე: „მისარია, რომ ბევრი ადამიანის სკეპტიციზმი დაიძლია თავის დროზე და დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატის სტატუსი მიიღო იუნესკოსგან. ჩვენმა პარტნიორმა ორგანიზაციებმა ბევრი შრომა გასწიეს იმისთვის, რომ ეს დღე დამდგარიყო. სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვაში ყველას ჩართულობაა საჭირო. დედოფლისწყაროს

ისტორიულად აქვს „პურის ბეღელის“ სტატუსი, ამიტომ 500 ჰექტართან დაკავშირებით თქვენი მიდგომა გასაგებია. ასევე, კახური ზეთი, თავისთავად ბრუნავს და მას მთელ საქართველოში ანალოგი არ აქვს და შეიძლება მოხდეს იმ საკითხის განხილვა, თუ რატომ აღარ ხდება მზესუმზირის მოყვანა. ფერმერებს ამ საკითხებთან დაკავშირებით ექნებათ მოსაზრებები და გამოსავლის ძიებასაც ერთობლივად შევძლებთ. თესლბრუნვის საკითხი ხომ პირდაპირ არის დაკავშირებული ნიადაგის სტრუქტურის აღდგენასთან და გავითვალისწინებთ“.

არ არსებობს ბიზნესი, რომელიც ბიოსფერული რეზერვატის სტატუსის ქვეშ არ მოექცეს, თუნდაც ისეთი, როგორცაა გარემოზე ნეგატიური ზეგავლენა, ეს არის ნავთობის, კირქვის მოპოვება, თუ ისინი მწვანე ეკონომიკაში თავიანთ ნილს გაიღებენ, რომ ეს მიმართულება გაძლიერდეს, ისინი იქნებიან მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ბიზნესმენები. ამიტომ, ვილაცას ვერ გადავხაზავთ, ყველა ერთმანეთისთვის საჭიროა, ერთმანეთის გვერდში დავდეთ გაცილებით მეტს გავაკეთებთ. მსგავსი პრეცედენტი არ ყოფილა კავკასიის რეალობაში და ყველას აქტიურობაა საჭირო იმისათვის, რომ 8 წლის შემდეგ სხვა სიმაღლეზე ვიყოთ და ეს შანსი ხელიდან არ გავუშვათ“.

შეხვედრამ აქტიურ რეჟიმში ჩაიარა. მონაწილეების კითხვები შეეხებოდა პროექტის მდგრადობას, მმართველი ორგანოს შემადგენლობას, დედოფლისწყაროს ცნობადობის გაზრდას...

როგორც სტუმრებმა განმარტეს, არც მართვის ორგანო და არც მისი სტრუქტურა ჯერ არ არსებობს. თუშეთის ბიოსფერული რეზერვატის ფარგლებში მიმდინარეობს ახლა მუშაობა, როგორი უნდა იყოს მმართველი ორგანოს მართვის მექანიზმი. „საკანონმდებლო დონეზე როდესაც დაინიშნება ამის განხილვა, რეალურად, ძალიან ბევრ პრობლემას შეეჯახეთ, ქვეყნის ზოგადი მოწყობიდან გამომდინარე. ერთი, რისი თქმაც ამ ეტაპზე შემიძლია, არის ის, რომ ჩართული უნდა იყოს ყველა უწყება,

/გაგრძელება გვ.3/

გიოსფარული რაზარვატი, როგორც ზასაძლავლოზა

/დასაწყისი პირველი გვერდიდან/
როგორც ადგილობრივი (სათემო ორ-განიზაციები), ასევე ზედა დონის (სამინისტროები) – აღნიშნა თეონა ქარჩავამ.

„დედოფლისწყაროს ცნობადობის გაზრდას ემსახურება აღნიშნული პროექტის მესამე და მეოთხე პუნქტი, კერძოდ შემუშავდება კომუნიკაციის სტრატეგია, და შესაბამისად, ეს იქნება ადაპტირებული იმ საჭიროებებზე, რაც აქვს მუნიციპალიტეტს და ამ სტრატეგიაში შესული ლონისძიებები განხორციელდება ეტაპობრივად“ - განაცხადა თეონა ცხოვრებაძემ, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (RECC) წარმომადგენელმა.

შეხვედრისას ყველაზე მწვავე დისკუსია მოჰყვა პროექტის მდგრადობის საკითხის განხილვას. ითქვა, რომ მკაცრი ხელია საჭირო იმისათვის, რათა ამ პროექტმაც „ქარსაცავი ზოლების აღდგენის“ ბედი არ გაიზაროს. ამ მოსაზრებას ზოგი დაეთანხმა, ზოგიერთმა კი აღნიშნა, რომ მიდგომების ცვლილებას და მავნე პრაქტიკის დაძლევის მაგალითები ქმნიან.

ამირან კოლიაშვილი: „ბიოსფერული რეზერვატი იქმნება მაგალითებით. ადამიანი, რომელმაც გააშენა კაკლის ბაღი და იყენებს შხამ-ქიმიკატს, რომელიც ევროკავშირში აკრძალულია, მას ბიოსფერული რეზერვატი დაეხმარება ბრენდინგში, მარკეტინგში და ეტყვის, რომ შენ თუ შეცვლი შხამ-ქიმიკატს, ამ შემთხვევაში შენი პროდუქცია გავა ევროპაში, და როდესაც ეს ადამიანი პირობის შესრულების შემდეგ რეალურად გაყიდის დათქმულ ბაზარზე პროდუქტს სასურველ ფასად, მაშინ ეს იქნება იმის მანიშნებელი, რომ სხვა კაკლისა თუ ნუშის მეზღვე ასევე გადაიღებს ამ



პრაქტიკას ყოველგვარი დაძალების გარეშე და გაყიდის 10 ევროდ. სხვანაირად, ვერანაირი მკაცრი ხელი მიდგომებს ვერ შეცვლის. დღეს თუ შემცირდა სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების გადაწვის შემთხვევები, ეს მხოლოდ იმის გამო, რომ ნამჯა გაძვირდა. სწორედ ამის გამოა, რომ 2015 წელს გადაწვის სტატისტიკური მაჩვენებელი იყო 90%, ხოლო 2023 წელს-30%“.

პროექტის გენდერული მენისტრი-მინგისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმაზე შეკრებილ საზოგადოებას **ნიშო როსტომაშვილი, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის კომუნიკაციების ოფიცერი** ესაუბრა. მან სამოქმედო გეგმის ძირითად მიზანსა და გეგმაზე ისაუბრა, რომლის მიხედვითაც პროექტის განხორციელებისთვის აუცილებელი იქნება გენდერული მენისტრიმინგის აქტივობების გამოკვეთა, მათ შორის პოტენციური

დაინტერესებული მხარეების გამოვლენა და მათი როლის განსაზღვრა. მისი განცხადებით პროექტის განხორციელების მანძილზე გეგმა უზრუნველყოფს გენდერულ თანასწორობასა და პროექტის აქტივობებში ქალთა ჩართულობას, ასევე ბიოსფერული რეზერვატის მდგრად მართვას გენდერული ასპექტების გათვალისწინებით. ნიშო როსტომაშვილმა განიხილა დედოფლისწყარო გენდერულ ქრილში, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტში არსებული ტურიზმის, მეღვინეობის, სტუმარ-მასპინძლობის სერვისების 41 აქტიური საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან, 18 ქალია და 23 კაცი. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში დასაქმებულია 48 ადამიანი, მათ შორის 5 ქალი და 43 კაცი, მუნიციპალიტეტში მოქმედებს გენდერული თანასწორობის საბჭო და ქალთა ოთახი, მაგრამ ასევე ცნობილია, რომ ქალთა მიერ სასოფლო-სამეურნეო

საქმიანობით მიღებული შემოსავალი 30-35%-ით ნაკლებია კაცთა შემოსავალზე. ნიშო როსტომაშვილმა დამსწრე საზოგადოებას დაგეგმილი ქმედებების შესახებაც მიანოდა ინფორმაცია: „**იგეგმება პროექტის კომუნიკაციისა და ცნობიერების ამაღლების სტრატეგიაში გენდერი საკითხების ინტეგრაცია. გარდა ამისა, მოხდება გენდერულად მგრძობიარე სტრატეგიის განხორციელება. შესაბამისად მოხდება გენდერულად მგრძობიარე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის, გენდერულად მგრძობიარე კომუნიკაციის მასალების შემუშავება და გავრცელება, ასევე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გენდერული პროფილის შემუშავება“.**

შეხვედრის დასასრულს მონაწილეების აზრი გაახმოვანა **ნიშო მაქალაშვილმა**, რომელმაც აღნიშნა, რომ ყველა მენარმისა და რიგითი დედოფლისწყაროელის სურვილია, პროექტში იყვნენ აქტიურად ჩართულები და რომ ნინა წლების პრეცედენტი დაფინანსების კომპონენტში ალარ განმეორდეს. **„გი პავრჯიე მქონდა შამოთაპაზაბა და საშუალება, რომ დამატოვებინა ჰეპაყანა, მაგრამ ეს არ ბავაკაითი. პირიმით, ბაქცივის ნაცვლად აპ, ჩამს რაიონში დავიწყე იმ სამის კაითაბა, რაც ჩვეთვის ტრადიციულია, საშუარი მაქს ღვივისა და ჩურჩხლის წარმოებაზე. მიწა, რომ გიოსფარული რეზერვატის სიათა შავაპოს ჩავე, უბრალო ალაიანაბს და იმ მანარაეებს, რომელაგის ტრადიციული ღარბაბის აღდგენით არიან დაპაპაბულინი“.**

ინგა შიოლაშვილი
შუშუნა ყანაშვილი

საქართველოს თავისუფლების სიმბოლო და დამოუკიდებლობის აღდგენის საფყისი

9 აპრილი — ტრაგედიისა და გამარჯვების დღე. საბჭოთა შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის მიმდინარე მშვიდობიანი აქციის სასტიკი დარბევადან 35, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენიდან კი 33 წელი გავიდა. 1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი და ტრაგიკული მოვლენები დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე გარდამტეხად იქცა და ორი წლის თავზე ისტორიული რეფერენდუმის ჩატარებითა და უზენაესი საბჭოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებით დასრულდა.

9 აპრილს რუსთაველის გამზირზე თავისუფლებისთვის ბრძოლის იდეას და ამ იდეით გაერთიანებულ მოქალაქეებს საბჭოთა ჯარმა ტანკები, ტყვიები, დაუდგენელი შემადგენლობის ქიმიური ნივთიერებები, რკინის ნიჩბები და ხელკეტები დაუპირისპირა. დაიღუპა 21, დაიჭრა, მოინაშლა და მიძიმედ დაშავდა ათასობით ადამიანი.

1989 წლის 9 აპრილის შემდეგ, საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო კომუნისტური რეჟიმის დასუსტების, ეროვნული მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენის პირობებში იძულებული გახდა 1990 წლის 9 მარტსა და 20 ივნისს მიეღო დადგენილებები, რომლითაც, ფაქტობრივად, უკანონოდ აცხადებდა საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში. 9 მარტს უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე მი-

ღებულ იქნა დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“, რომლითაც აღიარებულ იქნა, რომ 1921 წლის თებერვლი სა-ქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოყვანა და მთელი ტერიტორიის დაკავება, სამართლებრივი თვალსაზრისით, წარმოადგენდა ინტერვენციასა და ოკუპაციას არსებული პოლიტიკური წყობის დამხობის მიზნით, ხოლო, პოლიტიკური თვალსაზრისით – ანექსიას. ხაზი გაესვა, რომ უზენაესი საბჭო გმობს ამ ოკუპაციასა და ფაქტობრივ ანექსიას, როგორც საერთაშორისო დანაშაულს და ესწრაფვის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევის შედეგების გაუქმებასა და საბჭოთა რუსეთის მიერ ამ ხელშეკრულებით აღიარებული უფლებების აღდგენას. უზენაესმა საბჭომ უკანონოდ და ბათილად გამოაცხადა 1921 წლის 21 მაისის მუშურ-გლეხური სამოკავშირეო ხელშეკრულება საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკას შორის.

1990 წლის 20 ივნისს საქართველოს უზენაესმა საბჭომ გაუქმებულად გამოაცხადა საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად შექმნილი ხელისუფლების ორგანოები – რევოლუციური კომიტეტები და საბჭოები, რადგან ისინი არ გამოხატავდნენ ქართველი ხალხის ჭეშმარი-



რიტ, თავისუფალ ნება-სურვილს. უკანონოდ და ბათილად გამოაცხადა ყველა აქტი, რომლებიც აუქმებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ ინსტიტუტებს. საქართველოს სსრ-ის უზენაესმა საბჭომ აღიარა მრავალპარტიული არჩევნები და მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური ძალა დაკანონებული იქნებოდა არა როგორც საქართველოს საბჭოთა სო-

ციალისტური რესპუბლიკის ფორმალური გამგრძელებელი, არამედ როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე. არჩევნები დაინიშნა 1990 წლის 28 ოქტომბერს. მასში კომუნისტური პარტია დამარცხდა და გამარჯვა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“, რომელსაც ზვიად გამსახურდია ხელმძღვანელობდა.

ჩინეთში ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა გაიმართა

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ ჩენგდუში ღვინისა და საკვების საერთაშორისო გამოფენა „The 108th China Food & Drinks Fair“ გაიმართა. ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით, გამოფენაში ქართული ღვინის მწარმოებელი 21 კომპანია მონაწილეობდა.



ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის ზრდის მიზნით, ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ღვინის მსგავსი მასშტაბური წარდგენა ქვეყანაში, რომელიც საქართველოსთვის ერთ-ერთი სტრატეგიული ბაზარია;

ჩინეთი ქართული ღვინის ექსპორტორი ქვეყნების ხუთეულში შედის.

სამდლიანი გამოფენის ფარგლებში, ქართული ღვინის კომპანიების წარმომადგენლებმა შეხვედრები პარტნიორებთან და პოტენციურ იმპორტიორებთან გამართეს.

გამოფენას საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პაატა კალანდაძე დაესწრო.

გამოფენის ფარგლებში, სპეციალურ სტენდზე, ღვინის მაგისტრმა ქესიდი დარტმა (ჩინეთი) სტუმრებს სხვადასხვა სახის ქართული ღვინო წარუდგინა.

გამოფენა „The China Food & Drinks Fair“ ჩინეთში 1955 წლიდან ტარდება და ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოფენაა, რომელსაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ყოველწლიურად ათასობით ღვინის მწარმოებელი და მილიონამდე ვიზიტორი ესწრება.

ალსანიშნავია, რომ ჩინეთი ქართული ღვინის ერთ-ერთი გამოკვეთილი სტრატეგიული ბაზარია, სადაც ქართული ღვინის ცნობადობისა და ექსპორტის გაზრდის მიზნით, 2013 წლიდან აქტიურად მიმდინარეობს მარკეტინგული კამპანია. ღვინის ეროვნული სააგენტო, ქართული ღვინის მარკეტინგული კამპანიის განსახორციელებლად, ჩინეთის ბაზარზე მარკეტინგულ კომპანიასთან Meiburg Wine Media თანამშრომლობს.

«ჩემი ოცნება და საფიცარი, ჩემი სიყვარული მარად»

„ჩემი სოფელი არბოშიკი, მთავს შუა მოცეულა ღვარად, ჩემი ოცნება და საფიცარი ჩემი სიყვარული მარად“

ეს სიტყვები გასდევდა ლაიტმოტივად 3 აპრილს, სოფელ არბოშიკის კულტურის სახლში, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ხელშეწყობითა და სოფლის კულტურის სახლსა (ხელმძღვანელი ლუიზა ხუციშვილი) და ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ორგანიზებით გამართულ ღონისძიებას „ჩემი სოფელი-არბოშიკი“.

ბავშვებმა, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი მოქმედი წრეების მუშაობაში, მოიხიეს და წარმოადგინეს სოფელში მცხოვრები წარმატებული ადამიანების ისტორია, გეოგრაფია და ა.შ.

„არბოშიკის ისტორია შეუსწავლელია. არ არსებობს რაიმე ლიტერატურა ან ნაშრომი მისი წარსულის შესახებ. სოფლის სახელწოდების წარმოშობასთან დაკავშირებით მრავალი ლეგენდა თუ მოსაზრება არსებობს. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, ერეკლე მეფე ერთ-ერთი ბრძოლის დროს გედის ხეზე ყოფილა დაბანაკებული. ახლო-მახლო სოფლებიდან მეფისთვის ნობათი მიურთმევიათ, მათ შორის ყოფილა ქადა, რომელიც ერეკლეს ძალიან მოსწონებოდა და უკითხავს, ვინ მოიტანა ეს ქადა, ერთობი რომ ცურავსო. ამის შემდეგ ადგილს არბოშიკი დაარქვეს. სხვა ლეგენდის მიხედვით, თამარ მეფე ყოფილა არბოშიკის ტერიტორიაზე. კვირიკეზე რომ ასულა და დაუსვენია, გადმოუხედავს, უთქვამს: „რა ერთბაშად ადგილია“ და წარმოშობილა

სახელწოდება არბოშიკი“ - აღნიშნეს ღონისძიების წამყვანებმა თამარ დათუკიშვილმა და კესო ზუბიაშვილმა.

ღონისძიებაზე ასევე ისაუბრეს სოფლის ღირსეულ შეილებზე, რომელიც მან თავის ნიაღში გამოზარდა და რომლითაც დღეს ყველა ამაყობს. „სოფელში გამოზარდა მრავალი გამოჩენილი ადამიანი, რომელთაც ასახელებს სამშობლო: აკადემიკოსი ალექსანდრე ალადაშვილი, პროფესორი ვახტანგ ალადაშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი არჩილ გონაშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ვლადიმერ დათუკიშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი დიმიტრი ბენაშვილი, მიტროპოლიტი გიორგი ალადაშვილი. სოფელ არბოშიკში ფუნქციონირებს ზაზა ალადაშვილის სამჭედლო, რომელიც მეუღლესთან და შვილთან ერთად ამზადებს ძველ, ტრადიციულ იარაღს და აწყობს გამოფენას საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. ასევე გამორჩეულია სოფლის მკვიდრის ამირან სეფიაშვილის ხელნაკეთი ნივთები. სოფელ არბოშიკში ასევე გვყავს სხვადასხვა სარეინტიგო, ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონი პარატაეკვონდომი (მანჩესტერი, სტამბული, ვერაკრუზი), ყველაფერის საყვარელი, საამაყო და თავის სოფელზე უზომოდ შეყვარებული გიორგი ხიზანიშვილი. გვსურს წინსვლა და კიდევ უამრავი წარმატება ვუსურვოთ მას“.

სოფელ არბოშიკში კულტურის სახლი აშენდა 1937 წელს. კულტურის სახლში 70-იან წლებში ჩამოყალიბდა თვითმოქმედი ხალხური სიმღერების გუნდი, რომელიც რაიონში გამართულ ნებისმიერ დღესასწაულზე იღებდა მონაწილეობას.

ერთ-ერთი ასეთ ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოში ცნობილი ლოტარი მალეშვილი, რომელიც მოიხიბლა გუნდის სიმღერებით და მათ სათავეში ჩაუდგა. გუნდმა დიდი შრომის შედეგად მიიღო პირველი საკავშირო ფესტივალის მონაწილეობა. ასევე იყვნენ სამი საკავშირო ფესტივალის მონაწილე. სოფლის გუნდმა საზღვარგარეთ გაიტანა არბოშიკის სახელი. მათ კონცერტები გამართეს: ჩეხეთში, სლოვაკეთში. ანსამბლმა 20 წელი იარსება. დღეს ანსამბლის არცერთი წევრი აღარ არის ცოცხალი: მიხეილ სეფიაშვილი, ბიჭია ხუციშვილი, გაიოზ ბიკაშვილი, თარიმან ლომიძე, პლატონ სეხნიაშვილი, შოთა კოტაშვილი, ზურა ელაშვილი, ვაჟა უთრუთაშვილი, ჯემალ კირვალიძე, ბეჟან ალადაშვილი, ზურაბ ალადაშვილი, ლერსი ბაცაცაშვილი, ყორა სეფიაშვილი, ვალიკო მანაბლიშვილი, დურმიშხან ჯამალაშვილი, გოგია ბატიაშვილი, ასლან ჭრელაშვილი, შოთა ბალაშვილი, თემო გოგაშვილი.

ბავშვებმა დამსწრე საზოგადოებას სოფლის საამაყო და წარმატებული პოეტების ლექსები კიდევ ერთხელ შეახსენეს: მარინა ცხვედიაშვილი „თქვენ და ქიზიყი“, „შიში“, „ნატურა აღდგომის ღამეს“ (კატო ფიროს-მანაშვილი), მარინა ჭუმბურიძე „სიამაყე“ (ქეთი იაკობიშვილი), „მამულს“ (ლოზი ელაშვილი), „პოეზია არბოშიკი“ (ნია ალადაშვილი), მაცყალა გონაშვილი „ვალი“ (მარიამ გოგიშვილი), ცირა გურაშვილი „ჩემს კახეთს“, ნინო ალადაშვილი „ხვალ გაზაფხულია“ (მარიამ კოტაშვილი) და ა.შ. თითოეული გამოსვლა საზოგადოების მხრიდან აპლოდისმენტებს იმსახურებდა. საზოგადოებას სიტყვით სწორედ პოეტ ნინო ალადაშვილის დედამ, **ოლიკო დონჯაშვილმა** მიმართა, რომელმაც ღონისძიების ორგანიზატორებს განუცხადებდა მადლობა და აღნიშნა: „ეს ის სცენაა, რომელსაც ბევრი წარმატებული



და ცნობილი ადამიანი უნახავს. არ გადიოდა თვე, რომ თელავის თეატრი არ ჩამოსულიყო და სპექტაკლი არ ეთამაშა. მადლობა, რომ კულავ აახმარეთ ეს დარბაზი, ჩვენს ლამაზ სოფელს მოეფერეთ, კიდევ ერთხელ გაგვახსენეთ მისი ისტორია, მისი საამაყო შეილები, მათი ღვანდი. იმედი მაქვს, ჩვენს სოფელს და ამ სცენას კიდევ მრავალჯერ ვიხილავთ ახმაურებულს, გალამაზებულს“.

ღონისძიება მსატყურელად გააღამაზა ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ქიზიყი“ (ხელმძღვანელი თამაზ ღვალაძე). შესრულდა ცეკვები: „ხევსურული“, „სამაია“, „ყაზბეგური“.

ღონისძიებას ესწრებოდა ადგილობრივი პრესა, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორის მოადგილეები - გაგა პატაშვილი და თამარ ხარაშვილი, თანამშრომლებთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობა, პედაგოგები, მონაწილე ბავშვების მშობლები.

გაზეთი „შირაქი“ მადლობას უხდის ღონისძიების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს ლამაზი, თბილი და სასიამოვნო ღონისძიებისათვის. გაზაფხულის ერთი ლამაზი დღე კიდევ უფრო გააღამაზეთ და აახმაურეთ სოფელი, სადაც ხალხი ნამდვილად მონყურებულია მსგავს ღონისძიებებს. მე კი არბოშიკელი პოეტის ჯუშმბერ უთრუთაშვილის ლექსის სტრიქონებით დავგემშიდობებით:

„აღტყულ სამთხეს მე მიჩქვია, შენი ზომხელი, მიშშირი, ვაკე, სადაც ბაღაღა მე დამჩქვია, თუშცა ნაკვალევს ვვღარც კი ვარჩქვია!...“

შუშუნა ყანაშვილი



2 აპრილი - აუტიზმის ცნობადობის ამაღლების დღე

2007 წლის 2 აპრილს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2 აპრილი აუტიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მსოფლიო დღედ გამოაცხადა.

„ის დაეხმებოდა მომღიბარი სახით, აკეთებდა სტერეოტიპულ მოძრაობებს თითოებით, ლილინებდა ერთიდაიგივე მელოდიას, დიდი სიამოვნებით ატრიალებდა ყველაფერს, რაც ხელში ხვდებოდა, როდესაც შემოჰყავდათ ოთახში, იგნორირებას უკეთებდა გარშემო მყოფებს.“ ეს არის 5 წლის ბიჭის დახასიათება, რომელიც დღე კანერმა აღწერა 50 წლის წინ. მეორე მსოფლიო ომის დროს სწორედ დღე კანერმა აღმოაჩინა ეს მდგომარეობა.



2 აპრილს დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის სპეციალური მასწავლებლის ირინა ფიროსმანაშვილის მიერ საპატრიარქოს წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის სკოლაში ჩატარდა პრეზენტაცია თემაზე: „2 აპრილი აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღე“. პრეზენტაციაში მონაწილეობდნენ: მეორე სკოლის მათემატიკის მასწავლებლები - ელენე პოპიაშვილი, სოფიკო ალადაშვილი, წმ.მეფე ვახტანგ გორგასლის სკოლის მუსიკის და ხელოვნების მასწავლებლები - ნინო ლოლაშვილი, ჟენია ხუციშვილი, სკოლის დირექტორი თეა სხირტლაძე ორივე სკოლის მასწავლებლებთან ერთად.

ქ-ნ ირინა ფიროსმანაშვილის პროფე-

სიონალიზმს და მალალ სტანდარტს კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოება, იგი არაერთხელ ყოფილა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, თუმცა სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს დღეები ყოველთვის რომელიმე თარიღთან ასოცირდებოდა. ამჯერად აუტიზმის სპექტრის დარღვევის შესახებ ვისაუბრებთ. ირინა მასწავლებელი 2003 წლიდან ინკლუზიური განათლების მიმართულებით მუშაობს, ხოლო 2014 წლიდან მეორე საჯარო სკოლის სპეციალური მასწავლებელია.

– ირინა, მოგვიყვიეთ საპატრიარქოს სკოლაში ჩატარებული ღონისძიების მიზანზე, აგრეთვე, გვიამბეთ თქვენს სასკოლო საქმიანობაზე, მის სპეციფიკაზე და დღემდე მიღწეულ შედეგებზე...

– ალბათ, ყველასთვის ცნობილია, რომ აუტიზმი ტვინის განვითარების ნეირობიოლოგიური დარღვევის შედეგია, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის დამყარების, სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და გონებრივი განვითარების პროცესებზე. მისი გამოჩენა მიზეზი კი დღემდე უცნობია. ფიქრობენ, რომ მის აღმოცენებაზე გავლენას ახდენს გენეტიკური ფაქტორები, გარემო (ვირუსული ინფექციები, გართულებული ორსულობა, ჟანგბადის უკმარისობა, ჰაერის დაბინძურება), ნევიროლოგიური ფაქტორები (ანომალიები თავის ტვინის სხვადასხვა უბნებში).

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბევრი მოზარდი ცხოვრების გზაზე აღწევს წარმატებას და ცხოვრობს სრულფასოვანი ცხოვრებით. ამთავრებენ სკოლას, იღებენ უმაღლეს განათლებას, დასაქმებულები არიან სპეციალობით, ქმნიან ოჯახს და ჰყავთ შვილები. ზოგი მათგანი წარმატებულია კომპიუტერულ ტექნოლოგიებში, არიან მეცნიერები, ხელოვანები.

ერთი აუტიზმის სპექტრის მქონე პირის ცნობისას ჩვენ ვფლობთ ინფორმაციას მხოლოდ მასზე, ხოლო ყველა დანარჩენის ძლიერი მხარეები, ინტერესები, მიდრეკილება, სიძნელეები და გადასალახი ბარიერები ძალზედ მრავალფეროვანია. ბავშვებს აუტიზმის

სპექტრის დარღვევით ხშირად აქვთ სოციალური ურთიერთობისა და მეგობრობის მოთხოვნილება, თუმცა უჭირთ დაინახვონ და გამოიყენონ ის უნარები, რაც დაეხმარება ურთიერთობების დამყარებასა და სხვადასხვა სოციალურ გარემოში შესაბამისად მოქცევაში.

ინკლუზიური განათლების მიზნებიდან გამომდინარე, ყველა ბავშვს, მათ შორის აუტიზმის სპექტრის მქონე პირებს აუცილებლად უნდა მიეცეს თანატოლებთან ურთიერთობის, მეგობრობის, სწვლა-განვითარების შესაძლებლობა და გაენიოს მხარდაჭერა ყველასგან. აუტიზმის სიმპტომები, ჩვეულებრივ, თავს იჩენს ბავშვის ცხოვრების პირველი სამი წლის განმავლობაში და თან სდევს მას მთელი ცხოვრების მანძილზე. მისი ადრეული ნიშნები-ბავშვი არ აფიქსირებს მზერას, არ ასრულებს ინსტრუქციებს, უჭირს კომუნიკაცია, მეტყველება, ემოციების გაზიარება, თანატოლებთან თამაში და ინიციატივის გამოჩენა. სტატისტიკა ასეთია-მოსახლეობის 1,6% აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონეა, მათგან ოთხ ვაჟზე 1 გოგონაა. სწორედ ამ თემების ირგვლის ვისაუბრეთ პრეზენტაციაზე, ჩვენი მთავარი მიზანი საზოგადოების ცნობადობის ამაღლებაა. მართალია, სასკოლო საზოგადოება კარგადაა ინფორმირებული ამ ყველაფერზე, მაგრამ ინფორმაცია განახლებადია და ჩვენც ვალდებული ვართ, აღნიშნულ სიახლეებს მომზადებულნი შევხედოთ.

წელს ჩვენს სკოლაში 12 სსმ მოსწავლე ფიქსირდება, მათ შორის 11 აქვს აუტიზმის სპექტრის დარღვევის სტატუსი. ჩვენი მთავარი მიზანია, გახდნენ ისინი საზოგადოების სრულფასოვანი წევრები, მოხდეს მათი სოციალური ინტეგრაცია და მომავალში შეძლონ დამოუკიდებლად ცხოვრება. მე, როგორც სპეციალური მასწავლებელი, სასკოლო თემში მუდმივად მიწევს ცნობადობის ამაღლების კუთხით მუშაობა. ამჯერადაც საპატრიარქოს

სკოლის მხარდაჭერი კამპანიით შევძელით კიდევ ერთი საინტერესო და ინფორმაციული დღე მოგვემზადებინა მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისა და მშობლებისთვის, რათა კიდევ უფრო მეტად გაიზარდოს მიმღებლობა - ბაღში, სკოლაში თუ პროფესიულ მასწავლებლებში თანატოლებთან ერთად განვითარებისა და განათლების მიღების შესაძლებლობის. აქვე დავძენ, რომ შედეგებზე გასვლა დამოკიდებულია ოჯახის და სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერაზე. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს გაიზარდა სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერა, ეს ჯერ მაინც არასაკმარისია, რადგან კვლევებისა თუ სხვა მულტიდისციპლინური მკურნალობის ჩასატარებლად სოლიდური თანხები საჭიროა. ვერ ვიტყვი, რომ საზოგადოების მხრიდან მიმღებლობა უკვე საკმარისია, მას კიდევ სჭირდება გაზრდა, ანუ ცნობიერების ამაღლებაზე მუშაობა უწყვეტად და ეფექტურად უნდა გაგრძელდეს.“-აცხადებს ქ-ნი ირინა.

დასასრულს შემიძლია ვთქვა, რომ სასურველია არამხოლოდ მიმღებლობა გაიზარდოს, არამედ მოხდეს ამ მდგომარეობის დროული იდენტიფიცირება ოჯახსა და საგანმანათლებლო დაწესებულებაში, გაენიოს პირის შესაბამისი მხარდაჭერა, რაც შემდგომში აისახება აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვის მომავალსა და დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდაზე.

მაიაზადა ოულა ხარაშვილი



მეორე მსოფლიო ომში დაკარგული დაკარგული გვირის ნეშტს 82 წლის შემდეგ ქვემო ქედში ჩამოსვენებენ

მეორე მსოფლიო ომში დაკარგული კიდევ ერთი უსაფლავო გვირის ნეშტი იდენტიფიცირებულია და დედოფლისწყაროში ჩამოსვენება იგეგმება. გაზეთ „შირაქის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, მიხეილ (მათა) გვირის ძე ბერიტიშვილის ნეშტი სევასტოპოლის მიდამოებში იქნა ნაპოვნი. ცნობილია, რომ ამ ოლქში უამრავი ქართველია გარდაცვლილი, ბევრი მათგანი ცხედარი ამ დრომდე ნაპოვნი არ იყო, ბევრიც საერთო სამარხებშია. მებრძოლის ოჯახი დედოფლისწყაროს სოფელ ქვემო ქედში ცხოვრობს, ამდენად, ნეშტს მეუღლისა და შვილის გვერდით სწორედ ქვემო ქედის სასაფლაოზე სამხედრო წესით დაკრძალავენ.

საძიებო და გადმოსვენების სამუშაოები ქართული და რუსული არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით დიდი ხანია ხორციელდება და ამოცნობილი ნეშტებს ოჯახებს უბრუნებენ. მათივე ძალისხმევით ქვეყნდება სიები, სადაც სხვა მებრძოლების ინფორმაციაა მოცემული.

საქართველოში დაფუძნებული ა(ა) იპ ფონდი „დაბრუნება“-ს ხელმძღვანელი ზაზა მილაძე გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ მიხეილ გვირის ნეშტი 2022 წლის ივნისში აღმოაჩინეს, შემდეგ კი საძიებო რაზმმა მისი იდენტიფიცირება სპეციალური სამხედრო მედალიონის მეშვეობით მოახდინა. სამარხში მედალიონის გარდა მისი პირადი ნივთებიცაა ნაპოვნი. მიმდინარე წლის 22 თებერვალს ნეშტი სევასტოპოლიდან რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში გადასვენეს, სადაც გვირის რიტუალების სასახლეში გამოსამშვიდობებელი ცერემონია შედგა.

გაზეთი „შირაქი“ ეცადა გაერკვია, რატომ გაჭიანურდა ნეშტის გადმოსვენების პროცედურა და იდენტიფიცირებისთვის საჭიროა თუ არა დამატებითი ექსპერტიზა.

ზაზა მილაძე: „ამ ტერიტორიაზე 70% ქართველები იბრძოდნენ, ამიტომაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ეს ოლქი. ბევრი მათგანი პირდაპირ სანგრებშია დამარხული. რუსული არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ნაპოვნი მისი ნეშტი და აღმოჩენილია კავსულა, სადაც მისი ვინაობა იკითხება. მოსკოვში გადასვენების შემდეგ სპეციალურ სოფლის (ცენტრში) გამოსამშვიდობებელი ცერემონია შედგა, სწორედ ამ ადგილზე ხდება ხოლმე გვირების გამოთხოვება.

როცა ვინაობა საეჭვოა, მაშინ დნმ კვლევასა და ექსპერტიზასაც მივმართავთ ხოლმე, მაგრამ ამ შემთხვევაში მედალიონი უტყუარ დასტურს ნიშნავს. მას შემდეგ, რაც ვინაობა დაზუსტდა, დავინწყეთ მისი ოჯახის მოძებნა. ვერ სხვა რეგიონებში ვეძებდით, შემდეგ კი გამოგვეჩვენა გვირის ნეშტი. საგვარეულო კავშირის წარმომადგენლები, რომლებიც გვირის დალოცვაში მონაწილეობდნენ და მათ გაცნობეს, რომ მისი ოჯახი დედოფლისწყაროში ცხოვრობს და ამდენად დაუკავშირდით მათ შთამომავლებს. 30 მარტს გვექონდა დაგეგმილი გადმოსვენება, თუმცა რუსეთში 22 მარტს მომხდარი მასშტაბური ტერაქტის გამო საზღვარი ჩაკეტა და ნეშტი ვეღარ გამოატარეს, ლარსის საბაჟო გამშვებ პუნქტთან შეყოვნდა. ახლა საზღვარი ღიაა, თუმცა ზემო ლარსის გამშვები პუნქტის იქით მხარეს, რუსეთის ტერიტორიაზე არსებობს პატარა ქვის მემორიალი, ის აღნიშნავს, რომ მებრძოლები ომში წასვლამდე ამ ადგილას იკრიბებოდნენ. სწორედ ამ მემორიალთან იგეგმება კიდევ ერთი გამოსამშვიდობებელი ცერემონიის გაშენება და მას შემდეგ გადმოვასვენებთ გვირის ნეშტს ვერ თბილისში, შემდეგ დედოფლისწყაროში. ასე რომ კონკრეტულ თარიღს უახლოეს დღეებში რუსული მხარე ჩანიშნავს.“



სოფელ ქვემო ქედში, გვირის ნეშტის ოჯახში „შირაქს“ უყვებიან, რომ მიხეილ გვირის ნეშტი მეორე მსოფლიო ომში წასვლამდე ვერ ფინეთის ომში გაიწვიეს.

ირმა ბერიტიშვილი: (შვილიშვილი) „ჩვენთვის ეს შოკისმომგვრელი და ძალიან სასიხარულო ინფორმაცია იყო, სვედნიანი, მაგრამ მნიშვნელოვანი.

მას შემდეგ ყველასთან ამ თემაზე ვსაუბრობ და მინდა ბევრს გაეუზიარო. ამდენი წლის შემდეგ პაპაჩემის ნეშტი მშობლიურ მიწას უბრუნდება და ამისთვის მადლობელი ვარ ყველასი, ვინც ამ პროცესში მონაწილეობდა. პირველ ეტაპზე რაღაც მოლოდინი იყო, რომ დაბრუნდებოდა. რადგან დაკარგულად ითვლებოდა, გარდაცვლილად არ მიიჩნევდნენ. როგორც ვიცი, ბებია ელოდებოდა. დიდი დროის გასვლის შემდეგ კი მის შესანდობარს ოჯახში ყოველთვის ვსვამდით. დედაჩემი ლიზა ქედში რომ გადმოსახლდა ძალიან პატარა იყო, ამიტომ მის მეხსიერებაში მამა არ შემორჩა. თუმცა, ხშირად გვესაუბრებოდნენ მათე პაპაზე. იხსენებდნენ, რომ ძალიან მშრომელი იყო. მისი დაბადების თარიღი ვერ დავაზუსტე, თუმცა მეუღლე 1913 წელს იყო დაბადებული და ამბობდა ხოლმე პატარა გამათხოვეს ასაკით საკმაოდ უფროსზე.“



ზაზა ბერიტიშვილი: (შვილიშვილი) „1939 წელს ვერ ფინეთის ომში იბრძოდა, იქიდან წაიყვანეს მეორე მსოფლიო ომში. მის მეუღლეს ანიკოს ომიანობის წლებში ძალიან უჭირდა, ორი შვილი გაჭირვებისა და ავადმყოფობის გამო გარდაეცვალა. დუშეთის რაიონის სოფელ ხანდოში ცხოვრობდნენ. იტყოდა ხოლმე, ამიტომ გადმოვიხვეწე ქვემო ქედში, შირაქში პური მაინც გვექნებაო. რუსიკო და დაშა გარდაცვლილი ჰყავს, ლიზასთან ერთად კი აქ ჩამოსახლდა და მას შემდეგ ქვემო ქედში დამკვიდრდნენ. სწორედ ლიზას შთამომავლები ვართ ჩვენც. 3 წლის ყოფილა ლიზა როცა აქ

ჩამოყვანია. შემდეგ ლიზას 5 შვილი ეყოლა. სამი შვილი, ანუ ჩემი დედამამიშვილები ნაადრევად გარდაიცვალნენ და მე და ჩემი და ირმა დავრჩით. უმცროსი და უფროსი ძმები გულის დაავადებით გარდაეცვალნენ, და კი სიმსივნით. ომში დაკარგული მათე პაპას მხოლოდ ერთი ფოტო გვაქვს შემორჩენილი, ბევრი არაფერია ცნობილი. ამ დრომდე ვიცოდით, რომ მეორე მსოფლიო ომში უგზო-უკვლოდ დაიკარგა და წერილებიც მოდიოდა. სხვა ინფორმაცია არ გვექონდა. ახლა კი თავად დაგვიკავშირდნენ და გვაცნობეს, რომ მედალიონით მისი ამოცნობა მოხერხდა. წარმოუდგენელი სიხარული და დაუჯერებელი მოვლენაა, რომ პაპის სამშობლოში გადმოსვენება მოხერხდება. 82 წლის შემდეგ მისი პოვნა სასწაულია ჩვენთვის. მისი ზუსტი ასაკი ჩემთვის უცნობია. საფლავზე დღესაც აღნიშნულია, რომ ანიკო 1913-ში დაიბადა და გადმოცემით ვიცი, რომ ქმარი უფროსი იყო.“

შეგახსენებთ, 2015 წლის სექტემბერში ანალოგიური შემთხვევა სოფელ ოზანშიც დაფიქსირდა. დავით ჩაღანაშვილის ნეშტი 73 წლის შემდეგ მშობლიურ მიწას მიაბარეს. დიდ სამამულო ომში 1942 წელს დაღუპული ქართველი მებრძოლის დაუმარხავი ნეშტი ქალაქ ვოლგოგრადიდან სამშობლოში გადმოსვენეს და სოფელ ოზანის გვირთა მემორიალის ეზოში დაკრძალეს.

კიდევ ბევრი გვირის ნეშტია დაკარგულად მიჩნეული. 242-ე სამთო მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში მებრძოლი და კავკასიონის მისადგომებთან, მის უღელტეხილებზე დაღუპულ ქართველთა სიაში სხვა დედოფლისწყაროელებსაც შეხვდებით, მათი დაკრძალვის ადგილი უცნობია.

დათუპირვილი ვასილ ივანეს ძე. დაბადებული 1899 წ. დედოფლისწყაროს რ-ნი. სოფ. არბოშიკი. დაიღუპა – 12.02.1943 წ.

ბურუშკარი ალექსანდრე ბიორბის ძე. დაბადებული 1900 წ. დედოფლისწყაროს რ-ნი. სოფ. არხილოსკარი. (სავარაუდოდ, არხილოსკალი) დაიღუპა – 06.02.1943 წ.

ოპინინაშვილი (გვარი დამახინჯებულია) კირილე ალამის ძე. დაბადებული 1903 წ. დედოფლისწყაროს რ-ნი. სოფ. ზემო ქედი. დაიღუპა – 05.02.1943 წ.

ილია მარტყოფლიშვილი

მირზაანში ფიროსმანის მშობლების საფლავებს ეძებენ

სოფელ მირზაანში ნიკო ფიროსმანის მშობლების საფლავის ძიება დაიწყო. პროცესში კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს სპეციალისტები მას შემდეგ ჩაერთვნენ, რაც ტელეკომპანია „ობიექტივის“ ჟურნალისტმა, კულტურის მკვლევარმა ნინო მიქიაშვილმა ეროვნულ სააგენტოში ახალი გარემოებათა აღმოჩენის თაობაზე ოფიციალური განცხადება შეიტანა და საკითხის შესწავლა მოითხოვა. უცნობია თავად ფიროსმანის საფლავი, თუმცა, ამ დრომდე კონკრეტულად არ არის დაზუსტებული არც მხატვრის მშობლების საფლავი.

მემკვიდრეობის სააგენტოს სპეციალისტები მირზაანში ამ ადგილას უკვე იმყოფებოდნენ და ორი დღის განმავლობაში მუშაობდნენ. მათ ჩამოსვლამდე სოფლის რწმუნებულის მიერ ტერიტორია ძეძვისგან გაინიშნა. შესწავლის სამუშაოები კვლავაც გრძელდება.

ფეფეს უფროსი ვაჟის ღვთისოს შვილიშვილი ლეილა გოზალიშვილი გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ ის მირზაანში მუზეუმის ეზოში იზრდებოდა და კარგად ახსოვს, რომ ყოვლადმინდის ეკლესიის ეზოში არსებულ ციხის სასაფლაოზეა დაკრძალული როგორც ფეფესა და ნიკალას მშობლები ასევე ფიროსმანაშვილი და თეკლე ტოკლიკიშვილი, ისე თავად ფეფე და მისი მეუღლე. ამავეს ადასტურებს სოფელ მირზაანის მკვიდრი სოფლის კოლორიტი დალი ფიროსმანაშვილიც.

ლეილა გოზალიშვილი ფიროსმანის დის, ფეფეს შვილთაშვილი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი: „რუსთაველი დავიბადე, მაგრამ ვავადმყოფობდი და მშობლებმა გადაწყვიტეს სოფელში გავე-

ზარდე. მალევე ნითელწყაროში ბებიასთან გადმოვიდი, 7 წლამდე ახლანდელი მუზეუმის ტერიტორიაზე გავიზარდე. თამრო ბებო ნიკოს დის ფეფეს შვილი იყო. მე მისი შვილიშვილი ვარ დედის მხრიდან. სკოლაში წასვლამდე ბავშვობა აქ გავატარე და ყველაფერს ვხედავდი. დაახლოებით 5 წლის ვიქნებოდი, როცა ზემოთ აგვიშენეს სახლი და გადავივდი. ეს ეზო გავათავისუფლეთ, რადგან სახლ-მუზეუმი უნდა გახსნილიყო და სახელმწიფოს დავეთვით. მთელი ბავშვობა იმ ცნობილ თეთრ თუთაზე მაქვს გატარებული, რომელიც მუზეუმის ეზოში დგას. პაპაჩემს 5 შვილი ჰყავდა. 4 ქალიშვილი და ერთი ვაჟი. დანარჩენი ბავშვები რუსთაველი გაიზარდნენ და მხოლოდ მე ვიზრდებოდი მირზაანში. აქაურობა იმდენად მიყვარდა, როცა 7 წლის გავხდი და სკოლაში წასასვლელად ქალაქში უნდა წავყვანიე, მასხოვს ქვევრში



დავიმალე, წასვლა არ მინდოდა. მთელი სოფელი მეძებდა და ვერ მპოულობდა, მხოლოდ მერე შემნიშნეს, როცა დალამდა და ავტორი. მერე 5 კლასამდე რუსთავის სკოლაში ვიარე, შემდეგ კი წნორში გადავიდი და იქ დავამთავრე. დღემდე წნორში ვცხოვრობ. მირზაანის ადგილია, სადაც ყველაზე ლაღად და კარგად ვგრძნობდი თავს, ძალიან მიყვარდა ბებია. გლეხის ქალი იყო, განათლება არ ჰქონდა, მაგრამ გაბრაუბა არ იცოდა. თუ შვილიშვილები რამეს დავაშავებდით, ხალხური თქმულებებიდან მაგალითებს მოგვიტანდა ხოლმე. მაგალითად თუ გვიან გავიღვიძებდი იტყოდა, „ძილი მქონდა უყვედური, მან გამხადა უბედური“. ყველაფერზე შესაბამის ტექსტს მოძებნიდა. ძველი ხალხი სხვანაირი იყო... მთელი მირზაანი ვიცოდი, ზეპირად გეტყვოდა სად რა იყო. თამრო ბებოს ხან წყალზე, ხანაც სასაფლაოზე ხშირად დავყავდი და ცხადად მასხოვს, ვირი ჰყავდა, ხალიჩას გადაფარებდა და დავდიოდით. ხურჯინში კოკებს ჩაანყობდა და ხან კონოლას წყალზე მივდიოდით, ხან ამ ტაძართან. ძალიან მორწმუნე ქალი იყო და წყალზე ისე არ მოვიდოდა, საფლავები არ ენახა. ზუსტად ამ ტერიტორიაზე მოვიდიოდით და სანთელს ანთებდა.



და დავდიოდით. ხურჯინში კოკებს ჩაანყობდა და ხან კონოლას წყალზე მივდიოდით, ხან ამ ტაძართან. ძალიან მორწმუნე ქალი იყო და წყალზე ისე არ მოვიდოდა, საფლავები არ ენახა. ზუსტად ამ ტერიტორიაზე მოვიდიოდით და სანთელს ანთებდა.

ნუტრიციოლოგია, როგორც ორგანიზმის ჯანსაღად შენების პროცესი

ნუტრიციოლოგია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საკვებს და მის ზემოქმედებას ჩვენს ორგანიზმზე. თანამედროვე მედიცინაში ნუტრიციოლოგიას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, რადგან კვება უდიდესი როლი აქვს სხვადასხვა დაავადებებთან ბრძოლაში. ნუტრიციოლოგიის მთავარი ამოცანაა ადამიანის რაციონალური კვების ორგანიზება, კვების კორექციის პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, როგორც ჯანმრთელობის, ასევე სხვადასხვა დაავადებების პრევენციის მიზნით.

ნუტრიციოლოგიური მიდგომა გამომდინარეობს მისი, როგორც ერთიანი და თვითრეგულირებადი სისტემის აღქმადან. ადამიანი მუდმივად საჭიროებს კვების ისეთ შეუცვლელ ფაქტორებს, როგორებიცაა ვიტამინები, მინერალები, ამინომჟავები და ა.შ.

ნუტრიციოლოგიის ამოცანაა კვების რაციონის ოპტიმიზაცია, რათა საკვები თვითონ იქცეს ნამდვილად ადამიანისთვის. მნიშვნელოვანია ყოველი ინდივიდისთვის შეჩვენებული იქნას კვების დაბალანსებული, ინდივიდუალურად მასზე მორგებული სისტემა, მისი გემოვნების, მიდრეკილებების, ფიზიოლოგიური თავისებურებების და დაავადების გათვალისწინებით. სწორედ ამისთვის არსებობს ნუტრიციოლოგია.

ჰეგორთან და წყალთან ერთად, საკვები არის ადამიანის სიცოცხლის წყარო. იმაზე, თუ როგორია საკვები, რამდენად დაბალანსებულია, გამდირებულია ნუტრიენტებით-ამაზეა დამოკიდებული ორგანიზმის ენერგიით შევსება, ქსოვილების განვითარება, ორგანიზმის თავდაცვითი ფუნქციების გააქტიურება, ნივთიერებათა ცვლის პროცესების რეგულაცია, ფიზიკური მდგომარეობის განმტკიცება, დაავადებათა პროფილაქტიკა, ადამიანის ორგანიზმში დაბერების პროცესის შეწყვეტა და ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივება.

ისეთი დაავადებების უმრავლესობა, როგორებიცაა შაქრიანი დიაბეტი, კანის, გულსისხლძარღვთა, ენდოკრინული დაავადებები, ჭარბი წონა და სხვა მიეკუთვნებიან ალიმენტურ-დამოკიდებულ მდგომარეობებს. რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანს ერღვევა კვების რეჟიმი, უჩნდება ვიტამინების, მინერალების — ნუტრიენტების დეფიციტი, რომლებიც არეგულირებენ ნივთიერებათა ცვლას ორგანიზმში. მრავალ დაავადებას ნუტრიციოლოგია ხსნის, როგორც იმ საკვების დეფიციტს, რომელთა შემოკლებით ადამიანის ორგანიზმი უნდა იღებდეს მცენარეულ, ცხოველურ და მინერალური ნარმოშობის ნივთიერებებს.

ნუტრიციოლოგს უნდა მივაკითხოთ იმ შემთხვევაში, როცა გვინდა დაბალანსებული, სწორი კვების რაციონის შეჩვენება წონის მიუხედავად, რადგან ჯანსაღი კვება ეს არის, უზირველესად, იმ ვიტამინთა და მინერალების უზრუნველყოფის საკვების მიღება, რომელიც ჩვენს ორგანიზმს ესაჭიროება ნორმალური ფუნქციონირებისთვის.

„ადამიანები ხშირად ბოლომდე ვერ ვიზრებთ, რამდენად მნიშვნელოვანი და გამამწყვეტიც კია ჩვენთვის საკვები; რამდენად გავლენის მოხდენა შეუძლია მას ჩვენს ჯანმრთელობასა და ცხოვრების წესზე. არადა ჩვენი დღიური საკვების თითოეული ულუფა ჩვენი ორგანიზმის საშენი მასალაა და ის საბოლოოდ ჩვენი შემადგენელი ნაწილი ხდება. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ის, რასაც დღეს მივირთმევთ, რამდენიმე წელიწადში გადაამუშავებული სახით, ჩვენივე ღვიძლის ქსოვილად იქცევა. კიდევ უფრო მარტივად კი ჩვენ სწორედ ის ვართ, რითიც ვიკვებებით“ - აღნიშნავენ სამედიცინო სფეროს ნარმოშობის ექსპერტები.

ყოველ წუთს ადამიანის ორგანიზმში მილიარდობით ბიოქიმიური გარდაქმნა მიმდინარეობს. სინთეზირდება და იყოფიან სხვადასხვა ქიმიური ელემენტები,

კვებებიან და კვლავ ნარმოქმნიებიან მილიონობით ახალი უჯრედები, სათანადოდონეზე ნარჩუნდება ფიზიოლოგიური პროცესების ძალზედ დიდი რაოდენობა. ყოველივე ეს ჩვენი ჩარევის გარეშე ხდება. ადამიანის ორგანიზმი მუდმივად განიცდის განახლებას. მეცნიერთა დასკვნით, ხუთი წლის მანძილზე ჩვენი ორგანიზმის დაახლოებით 95% სრულად განიცდის განახლებას. ის კი, თუ როგორი იქნება ეს პროცესი, უშუალოდ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ნივთიერებები - ნუტრიენტები შევა ჩვენს სხეულში. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ იმ ადამიანთა 90%, ვისაც ზედმეტი წონა აწუხებს, სიმსუქნის მიზეზი ალიმენტურია, ანუ დაკავშირებულია საკვების რაციონის სტრუქტურის დარღვევასთან. ნუტრიციოლოგიის ამოცანა კი კვების კორექციის პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებაა. ნუტრიენტები უზრუნველყოფენ ორგანიზმს სხვადასხვა ორგანოთა სისტემების მუშაობის კომპენსირება მოხდეს შესუსტების შემთხვევაში. აქტიური ასაკის პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანებისთვისაც აუცილებელია სწორი კვება და კვების რაციონის შევსება ბუნებრივი ნივთიერებებით ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით. გარკვეული ასაკიდან კი ორგანიზმის ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფად, საციტოცხლოდ მნიშვნელოვანია.

დიეტოლოგია=ნუტრიციოლოგია?
ხშირად დიეტოლოგიას და ნუტრიციოლოგიას ერთმანეთთან აიგივებენ, თუმცა, დიეტოლოგია ეს არის მეცნიერება იმის შესახებ, თუ რა არ უნდა მიიღოს ადამიანი ამა თუ იმ შემთხვევაში. დიეტა ეს არის კვებებიან და კვლავ ნარმოქმნიებიან მილიონობით ახალი უჯრედები, სათანადოდონეზე ნარჩუნდება ფიზიოლოგიური პროცესების ძალზედ დიდი რაოდენობა. ყოველივე ეს ჩვენი ჩარევის გარეშე ხდება. ადამიანის ორგანიზმი მუდმივად განიცდის განახლებას. მეცნიერთა დასკვნით, ხუთი წლის მანძილზე ჩვენი ორგანიზმის დაახლოებით 95% სრულად განიცდის განახლებას. ის კი, თუ როგორი იქნება ეს პროცესი, უშუალოდ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ნივთიერებები - ნუტრიენტები შევა ჩვენს სხეულში. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ იმ ადამიანთა 90%, ვისაც ზედმეტი წონა აწუხებს, სიმსუქნის მიზეზი ალიმენტურია, ანუ დაკავშირებულია საკვების რაციონის სტრუქტურის დარღვევასთან. ნუტრიციოლოგიის ამოცანა კი კვების კორექციის პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებაა. ნუტრიენტები უზრუნველყოფენ ორგანიზმს სხვადასხვა ორგანოთა სისტემების მუშაობის კომპენსირება მოხდეს შესუსტების შემთხვევაში. აქტიური ასაკის პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანებისთვისაც აუცილებელია სწორი კვება და კვების რაციონის შევსება ბუნებრივი ნივთიერებებით ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით. გარკვეული ასაკიდან კი ორგანიზმის ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფად, საციტოცხლოდ მნიშვნელოვანია.

დიეტოლოგია=ნუტრიციოლოგია?
ხშირად დიეტოლოგიას და ნუტრიციოლოგიას ერთმანეთთან აიგივებენ, თუმცა, დიეტოლოგია ეს არის მეცნიერება იმის შესახებ, თუ რა არ უნდა მიიღოს ადამიანი ამა თუ იმ შემთხვევაში. დიეტა ეს არის



გარკვეული შეზღუდვების კომპლექსი, რომელიც მიმართულია კონკრეტული მიზნის მისაღწევად. ანუ თვით ამ ცნებაში ჩადებულია გარკვეული დროებითობა. დროებითი კი შეიძლება იყოს ნებისმიერი სახის დიეტა.

შეიძლება კი ვესაუბროთ დიეტაზე ადამიანებს, ვისაც აწუხებს სიმსუქნე ან აქვთ მიდრეკილება სიმსუქნისკენ? ადამიანებს, რომელთაც ეს პრობლემა აწუხებთ ჭირდებათ თავისი კვებითი ქცევის სრული შეცვლა.

ნუტრიციოლოგის ამოცანაა სწორად შეურიოს პაციენტის საკვები რაციონი, ვიტამინები, მიკროელემენტები და ა.შ. ასევე შეურიოს საკვების მომზადების ტექნოლოგია და გადაანალიზოს იგი დღის განმავლობაში ადამიანის თავისებურებებიდან გამომდინარე.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სულ უფრო სარწმუნო ხდება ნუტრიციოლოგების კონცეფცია ადამიანის ორგანიზმში იმ ნივთიერებების, ნუტრიენტების დეფიციტის შესახებ, რომლებიც აუცილებელია ნივთიერებათა ცვლის და ბიოქიმიური პროცესების რეგულაციისთვის. როდესაც სწორი კვება ადამიანისთვის ცხოვრების წესი ხდება და ის არ არის იძულებითი აკრძალვა, მაშინ ჩვენი ორგანიზმის შენების პროცესიც უფრო ჯანსაღად და ფსიქოლოგიური სტრესის გარეშე მიმდინარეობს.

ძილის ანოქა - ეს უზრალ დისკომფორტი არაა

ადამიანები, რომლებიც ხვრინავენ, ხშირად ფიქრობენ, რომ ეს უზრალ დისკომფორტია და ჯანმრთელობას საფრთხეს არ უქმნის. რეალურად კი ხვრინვა, როგორც წესი, ძილის ანოქის პოტენციურად საშიშ ძილის დარღვევას უკავშირდება.

ძილის ანოქა არის პოტენციური დარღვევა, რომლის დროსაც სუნთქვა ძილში წყდება ეპიზოდურად და განმეორებული. სუნთქვის შეჩერება შეიძლება რამდენიმე წამიდან რამდენიმე წუთამდე გაგრძელდეს. თუ ხვრინავთ და დილით დალილი იღვიძებთ, შესაძლოა ძილის ანოქა გქონდეთ.

„ნიუ ჰოსპიტალის“ ნევროლოგი, ნეიროფიზიოლოგი **ლელა ლორთქიფანიძე** განმარტავს, რომ არსებობს სხვადასხვა ტიპის ძილის ანოქა. ეს შეიძლება იყოს ობსტრუქციული, ცენტრალური ან შერეული ტიპის ძილის ანოქა.

რა განსხვავებაა სხვადასხვა ტიპის ძილის ანოქის შორის?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძილის ანოქის ძირითადი ტიპებია ძილის ობსტრუქციული ანოქა (OSA) და ძილის ცენტრალური ანოქა (CSA). ძილის ობსტრუქციული ანოქა (OSA) არის ყველაზე გავრცელებული ფორმა, რომელიც გამოწვეულია ზედა სასუნთქი გზების კუნთების მოდუნებით და ანატომიური თავისებურებებით. ძილის ცენტრალური ანოქა (CSA) ხდება მაშინ, როდესაც ტვინი არასწორ სიგნალებს გადასცემს იმ კუნთებამდე, რომლებიც აკონტროლებენ სუნთქვას.

როგორია ძილის ანოქის სიმპტომები?

ძირითადი სიმპტომია ხვრინვა და სუნთქვის შეჩერება ძილში. სუნთქვის შეჩერება იწვევს გამოღვიძებას. რადგან ძილი წყვეტილია, ადამიანი იღვიძებს დალილი, გამოღვიძებისას აქვს თავის ტკივილი. დღის განმავლობაში დამახასიათებელია ძლიანობა, დალილობა, შრომისუნარიანობის დაქვეითება, გაღვიძების შემდეგ კონცენტრაციის დაქვეითება. გარდა აღნიშნულისა, ძილის ანოქის სიმპტომებია: სუნთქვის უკმარისობა ძილის დროს, პირის სიმშრალით გაღვიძება, უძილობა, იგივე ინ-

სომნია. აღსანიშნავია, რომ ობსტრუქციული და ცენტრალური ანოქის სიმპტომები ერთმანეთს ემთხვევა, რაც ხშირად ანოქის ტიპის დადგენას ართულებს.

რა იწვევს ძილის ანოქას?

მიზეზები განსხვავდება ძილის ანოქის ტიპის მიხედვით. ამიტომ ორივეზე ცალ-ცალკე ვისაუბროთ.

ძილის ობსტრუქციული ანოქა ვითარდება, როდესაც ხახის უკანა კუნთები მოდუნებულია. ეს კუნთები იჭერენ რბილ სასას, სამკუთხედის ფორმის ქსოვილს, რომელიც მოიცავს რბილ სასას-უფულას, ნუმიესერ ჯირკვლებს, ხახის გვერდითა კვლეებს და ენას. როცა კუნთები დუნდება, სასუნთქი გზა ვიწროვდება ან იხშობა ჰაერის ჩასუნთქვისას და ართულებს სუნთქვას. ეს შეიძლება გახდეს სისხლში ფანგბადის დონის შემცირების მიზეზი. თავის ტვინი შეიგრძნობს, რომ ვერ სუნთქავთ და გაღვიძებთ მცირე ხნით, რათა სასუნთქი გზა გაიხსნას. გაღვიძება ჩვეულებრივ იმდენად ხანმოკლეა, რომ ხშირად არც კი გახსოვთ. შესაძლოა განვითარდეს ქოშინი, მოხრჩობის ან მოგუდვის შეგრძნება. ეს სიმპტომები შესაძლოა საათში 5-30 ჯერ განმეორდეს, მთელი ღამის განმავლობაში. ამის გამო, ირღვევა ძილის ფაზები. ძილის ობსტრუქციული ანოქა ასევე შეიძლება გამოიწვიოს ხახის ანატომიურმა თავისებურებამ ან დარღვევამ.

ძილის ცენტრალური ანოქა უფრო იშვიათად გავრცელებული ფორმაა და ვითარდება მაშინ, როდესაც ტვინი ვერ გადასცემს სიგნალებს სასუნთქ კუნთებს. ეს ნიშნავს, რომ ხდება სუნთქვის შეჩერება დროის მოკლე მოაკვეთში. შესაძლოა გაგვღვიძოთ სუნთქვის უკმარისობით და გაგიჭირდეთ ჩაძინება ან დაგეგვრათ ძილი.

რა ფაქტორები ზრდის დაავადების განვითარების რისკს?

რისკფაქტორებზე საუბრის დანერგვამდე, გეტყვით, რომ ეს ძილის ანოქა უფრო ხშირად გვხვდება მამაკაცებში. შესაბამისად, მამაკაცები უფრო მეტად არიან მისი განვითარების რისკჯგუფში, ვიდრე ქალები. ზოგადად კი, ის შესაძლოა განვითარდეს ნებისმიერ ადამიანს, მათ შორის ბავშვებს. ობსტრუქციული ძილის ანოქის შემთხვევაში დაავადების პროვოცირებას შემდეგი ფაქტორები ახდენს:

ჰარბონინობა -

სიმსუქნე მნიშვნელოვნად ზრდის ობსტრუქციული ძილის ანოქის განვითარების რისკებს. ცხიმოვანი ფენა გროვდება ზედა სასუნთქი გზების გარშემო, რაც ხელს უშლის ჰაერის თავისუფალ მოძრაობას.

ქისრის გარკვეული რაოდენობა - სქელი ქისრის მქონე ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ ვიწრო სასუნთქი გზები.

ვიწრო სასუნთქი გზები - შესაძლოა გქონდეთ თანდაყოლილი ვიწრო სასუნთქი გზები. ნუმიესერი ჯირკვლების ან ადენოიდების გადიდება კი შესაძლოა გამოიწვიოს სასუნთქი გზების დაბლოკვა. ეს პრობლემა განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ბავშვებში. ალკოჰოლის, საძილე და დამამშვიდებელი საშუალებების მოხმარება ადუნებს სასუნთქი და სასუნთქი სისტემის კუნთებს, რამაც შესაძლოა გააუარესოს ძილის ობსტრუქციული ანოქა.

თამბაქოს მოხმარება - მწველებში ძილის ობსტრუქციული ანოქის განვითარების რისკი არამწველებთან შედარებით სამჯერ უფრო მეტია. თამბაქოს მოხმარება განაპირობებს ზედა სასუნთქი გზების ანთების ჩამოყალიბებას და სითხის შეკავებას.

ცხვირით სუნთქვის პრობლემა - ცხვირით სუნთქვის პრობლემების არსებობა, იქნება ეს ანატომიური პრობლემებით, თუ ალერგიით გამოწვეული, განაპირობებს ძილის ანოქის განვითარების რისკს.

სხვადასხვა დაავადებები - გულის ქრონიკული უკმარისობა, მაღალი არტერიული წნევა და ტიპი 2 დიაბეტი ნარმოადგენენ ძილის ობსტრუქციული ანოქის მაპროვოცირებელ რისკებს. პოლიკისტოზური საკვებ-ცხენების სინდრომი, ჰორმონალური დარღვევები, გადატანილი ინსულტი და ფილტვების ქრონიკული დაავადება, მაგ; ასთმა ასევე ზრდის ანოქის განვითარების რისკებს. აღსანიშნავია, რომ ხანდაზმულობა და ოჯახური ანამნეზი კიდევ უფრო ზრდის დაავადების გაჩენის რისკს.

რაც შეეხება ცენტრალური ძილის ანოქის, მისი მაპროვოცირებელი რისკფაქტორებია: გულის დაავადებები, ნარკოტიკული ტკივილ-გამაყუჩებლების მოხმარება და გადატანილი ინსულტი.

რა გართულებები შეიძლება გამოიწვიოს ძილის ანოქამ თუ მას სთანადო ზრდავებას არ მივახვეწებთ?

ძილის ანოქა სერიოზულ პრობლემად შეიძლება იქცეს, თუ მას ყურადღებას არ მიაქცევთ. გარდა იმისა, რომ იწვევს დალილობას და გაღვიძანებას, კონცენტრაციის დარღვევას დღის განმავლობაში, დაკავშირებულია ღებრესისასთან. უფრო სერიოზულ გარ-

თულებად შეიძლება ჩავთვალოთ კარდიოვასკულარული დაავადებები. სისხლში ფანგბადის დონის უქცარი ვარდნა, რომელიც ვითარდება ობსტრუქციული ძილის ანოქის დროს, ზრდის არტერიულ წნევას და აფერხებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობას. ობსტრუქციული ძილის ანოქა შესაძლოა გახდეს მაღალი წნევის მიზეზი. მან შესაძლოა გაზარდოს განმეორებითი გულის შეტევების რისკი, გამოიწვიოს არითმიები, მაგალითად წინაგულთა ფიბრილაცია.

ძილის ანოქის შორეულ გართულებებს შორისაა: ტიპი 2 დიაბეტი, მეტაბოლური სინდრომი, გართულებები მედიკამენტებით მკურნალობის დროს და ქირურგიული ჩარევის შემდეგ, ღვიძლის პრობლემები.

„ძილის ანოქა შეიძლება შემცირდეს ბავშვებშიც. ამ დროს რა თანხაა უკავშირება ბავშვების ინიციის თაობაზე“

ამერიკის პედიატრიის აკადემიის რეკომენდაციით, ნებისმიერი ბავშვი, რომელიც ხვრინავს საღამუ მეთქი ღამე კვირაში, საჭიროებს ძილის ანოქის გამოიკვინებას. ბავშვთა პოპულაციაში ძილის ანოქის სიმძირე 1-5 პროცენტია. ძილის ანოქის განვითარების რისკფაქტორებია ბავშვებში: ადენოტონზილარული ჰიპერტროფია, ჭარბი წონა, ორთოდონტიული პრობლემები, ცერებრული დამბლა, დაუნის სინდრომი, კუნთოვანი დისტროფია და სხვა ნერვ-კუნთოვანი დაავადებები, სხვა გენეტიკური სინდრომები. სტანდარტული სიმპტომების პარალელურად, ბავშვებში ძილის ანოქა იწვევს: დასწავლის პრობლემებს, ქცევითი დარღვევებსა და ენურესს. შორეულ გართულებებს შორისაა ზრდაში შეფერხებაც.

როგორ ხდება ძილის ანოქის დიაგნოსტიკა?

ძილის ანოქის გამოვლენა „ნიუ ჰოსპიტალის“ ხდება პოლისომნოგრაფიით. ეს გახლავთ ძილის შესწავლა მთელი ღამის განმავლობაში, რაც ანოქის დიაგნოსტიკის ობიექტური მეთოდია.

პოლისომნოგრაფია შეისწავლის შემდგომ პარამეტრებს: სუნთქვითი მოქმედება და ჰაერის ნაკადი, სატურაცია, გულისცემის სიხშირე და რიტმი, ძილის ფაზების ხანგრძლივობა, სხეულის პოზიცია, კუნთოვანი აქტივობა, ოკულოგრაფია, ელექტროენცეფალოგრაფიული არხები და ვიდეო ტელემეტრია.

მისი ამოცანაა და შესაბამის კვლევებზე გადამისამართება შეიძლება მოხდეს როგორც პირველადი ჯანდაცვის რგოლში ოჯახის ექიმთან, ისე ოტორინოლარინგოლოგიისა და ნევროლოგის მიერ.



მირზანში ფიროსიანის მშობლების საფლავებს ეძებენ

მეხუთე გვერდიდან/

ამჟამად ზუსტი ადგილი აღარ იკვეთება. თუმცა, ზუსტად ვიცი, რომ საფლავები ამ ადგილზეა, თამრო მოდიოდა ფეფეს და მისი მეუღლის საფლავებზე და ფეფეს მშობლების საფლავებიც რომ აქ იყო, ბებიანებისგან ვიცი. თამრო პაპიდა წითელწყაროში, უზუნდარაში იყო გათხოვილი და ხშირად მოდიოდა მირზანში, ის ამბობდა, რომ ეკლესიიდან 5 ნაბიჯში, აკაკის ხემდე საფლავებში. მეც ცხადად მახსოვს, რომ როცა სანთლებს ანთებდა, მე აკაკის ხის ჩრდილში ვიჯექი ხოლმე. შეიძლება საფლავის ქვა გადაადგილებულია, მაგრამ ქვა აუცვლელად იქნება. როგორც მახსოვს, მაშინ ჯვრებიც იყო და თავთან ქვაც იდო, რაზეც სანთლებს ვანთებდით. ეს ყველაფერი ბებიას ჩანანერებშიც ჰქონდა ასახული, რომელიც მრავალი წლის წინ ფიროსიანის მუზეუმში ინახებოდა. არ ვიცი, ახლა რამდენად შემონახულია, მაგრამ ძალიან მინდა მივაგნო. ისინი მომსწრე იყვნენ ფეფესა და ფიროსიანის ურთიერთობისა, ამ ყველაფერს იხსენებდნენ და წერდნენ ხოლმე.

ნიკალა გულრათსროვილი და კლიან კატილი კაცი იყო, მირზანში რომ ჩამოდიოდა, თუ რამ გაჩნდა, თავს მოუხრიდა და სოფლის ხალხს შიკრიბდა სოფელში. ის სახლი მაშინ მირზანში ყველაზე დიდი ჩანდა, რადგან ირგვლივ სულ მინური სახლები იყო. ეს სახლი 1898 წელს ფეფესთვის სწორედ ფიროსიანმა ააშენა, რადგან ფეფეს ორი მეუღლე ჰყავდა, ლორაშვილების და შემდეგ ბარამაშვილების (პაპაჩემის მამა). პირველი ქმარი მალევე გარდაეცვალა და სულ 10 შვილი ჰყავდა, ხუთი ლორაშვილების, ხუთიც ბარამაშვილების, რჩენა უჭირდა და ნიკო თბილისიდან ეხმარებოდა. ფეფესაც ძმა განსაკუთრებულად უყვარდა. **ბეპის ქვადა დაქორწინებინა, ხშირად ჩამოიყვანდნენ სოფელში, ქალსაც დაახვედრებდნენ, მამრამ ნიკოსხვანარი კაცი იყო.** მე პაპასაც მოვესწარი, რომელიც მეორე მსოფლიო ომიდან ინვალიდი დაბრუნდა. ბრმა იყო, ფეხზეც ვერ დგებოდა, უყვარდა ხოლმე მოგონებებზე საუბარი. ის გვიამბობდა ხოლმე, რომ ნიკო თუ ჩამოვიდოდა,

სილნაში გამაგზავნიდა საღებავებზე. ფურცელზე დამინერდა საღებავებს და ფუნჯებს ვუყიდდიო. იმას რომ მოვეუტანდი, მთელი სოფლის ბავშვებს მინდვრად დაარბენებდა, ბალებსა და ყვავილებს აკრეფინებდა. შემდეგ კი ამ მცენარეებს ხარშავდა, ფერებში ურევდა და საღებავებს ასე ამზადებდა. **ნათესავებს ნიკალას ნამუშევრები არ დაგვჩნა, რადგან ჯერ კიდევ 1937 წელს აშინებდნენ, მხატვრებს იჭერენ და რაც კი რამ გაჩნდათ მეზობლებმაც და ოჯახის წევრებმაც გამოიტანეს და ყველა ნამუშევარი დაწვეს, მათ შორის დაწვეს სკივრში შენახული ნიკოს ტანსაცმელი, ქული, ფუნჯები თუ სხვა ნივთები.** მხოლოდ ერთი ესკიზი იყო შემორჩენილი. დაუმთავრებელი ნახატი, რომელიც წლების შემდეგ ბებიას უცნობმა გამოართვა. მას შემდეგ ეს ტილო გაუჩინარდა და მახსოვს, ბებია დიდხანს ბრაზობდა, როგორ მომატყუა დაგბრუნებო... არ უნდა მიმეცათ. თამრო ბებია ოთარანთან ქვრივით მეზობლი ქალი იყო. მუზეუმში ახლაც ის სკივრი ინახება, მაგრამ მისი ნივთები განადგურდა“.

დალი ფიროსიანაშვილი (მირზანის მკვიდრი): „ყოვლადმინდის ამ ეკლესიაში დაინერეს ჯვარი ნიკალას მშობლებმა ასლან ფიროსიანაშვილმა და თეკლე ტოკლიკიშვილმა, ამდენად ეს ტაძარი მნიშვნელოვანი იყო მათთვის. ამიტომაც, საკუთარი გადარჩევისთვის, საძვალეც მოიყვეს ამავე ეზოში. შესწავლა უნდა ამ ტერიტორიას, რომ ნიმი გაკეთდეს და მითითებული იყოს, რომ აქ ნიკალას მშობლების საფლავია. ფიროსიანთან ყველა ვალში ვართ, მან იმიტომ მოიარა მსოფლიოს ქალაქები, რომ საკუთარ სამშობლოში მეტი ყურადღება ეკუთვნის. ბევრჯერ მიმართეს კულტურის სამინისტროს, რომ ნიკო ფიროსიანის მშობლების საფლავები მოძიებულიყო და სათანადოდ მოწინააღმდეგე, მაგრამ პროცესი ამ დრომდე ვერ დაიწყო. არადა, სამინისტროს აქვს ამისი ფინანსური და ადამიანური რესურსიც, ვალდებულია, რომ ამ მნიშვნელოვან საკითხს მეტი ყურადღება მიექცეს და ასე მიტოვებული არ იყოს“.

ილია მარტყოფილი

ზემო მარზანის აბები წინა საუკუნიდან

● 1960 — MROMLEBMA ZEMO MCXAANIS SASAUZMES AR INANO- SEARQVES. CINIKURI SAXELI IMSTVIS DAIMSAXURA, ROM WL EBIS MANZILZE SASAUZME SEUFEREBEL BINASI IYO MONTAVSEBULI. AGRETFE IQ CUDI IYO MDM SAXUREBA DA PRODUQTEBIT MOMRAGEBAC. ES MDGOMREOBA GAITVALISWINA ARBOSIKIS SOFLIS KOOPERATIVIS GAMEOBAM DA SAR SAN SASAUZME AXAL, KARG BINASI GADAITA NA AXALI KADREBIC DAKOMPLEQTD, MGRAM MUSAOBIS GAUMOBESIBA XANMOKLE GAMDDGA. MEBUFETIS, DAMLAGEBLISA DA MAREULIS MOVALEOBAS ASRULEBS MKOLOD ERTI, N. LEJAVA. AMTOM ARIS USUFTA OBA GAMEFE BULI DA XSIRAD DAKETILIA.

● 1968 — REVOLUCIAME ZEMO MCXAA NELEBS OCNEBAC KI AR SEZLOT KETIL - MOWOBIL SAYOFACXOVREBO MMSAXUREBAZE. SABWOTA XELISUFLEBIS DROS KI SOFELSI MRAVALI RAM GAKETDA, RAC MOSAXLEOBIS KETILDREOBAS MKVETRAD AMARLEBS DA AUMJOBESBS. TUNDAC AXLAXAN ASENEBULI SAYOFACXOVREBO PAVILIONI, ROMELSIC MONTAVSEBULIA RADIOSAXELOSNO DA SAPA RIKMAXERO. PAVILIONIS MUSAKEBI MARALI SAVARMO MCVENBLEBIT EGEBEBIAN SABWOTA SAQARTVELOS 47 WL ISTAVS.

● 1975 — ZEMO MCXAAANELMA MEFRINVE LEEBMA SITYVA GATEXES. MMDINARE WLIS OR TVESI TITOEUL KVERCXMBELZE M REBULIA 12 CALI KVERCXI, ANU 8 CALIT NAKLEBI, VIDRE GASULI WLIS SESABAMS PERIODSI. ASETI TEMPIT ROM GAGRZELDES KVERCXMBELOBA, WLIURI VALDEBULE BA SANAXEVRODAC VER SESRULDEBA. GASUL WELTAN SEDAREBIT WLEVANDEL OR TVESI JAMSI 146 000 CALIT NAKLEBI KVERCXIA MREBULI. FERMS WELS PIRVEL KVARTALSI SAXELMMFOTVIS UNDA MEYIDA 766 ATASI KVERCXI, MGRAM OR TVESI 221 ATASI MHYI DA FERMS DAZABULI MUSA OBA DASWRDEBA, ROM AREBULI VALDEBULEBA SEASRULOM

● 1975 — ZEMO MCXAAANSI, ROBITAANT ALAYAFIS KARI WRIALIT GAIRO DA MARJVENAMKVETILMA JARISKACMA EZOSI SEABIJA.

DIASAXLISI, EQIMS MEURLE MXVDA, ROM MOKVETILI MRJVENA MSI QMRIS MAXELAVI IYO. DEDAM KI MUXLEBSI ZALAGAMOCILIM CAULURLURA: DEDA MOGIKVDDES, SVILO, NUTU MKNELI MRJVENA DAKARGE. XMRZ EZO SWRAFAD GAIVSO, YVELAS EGONA EQIM DAUBRUNDA KERAS FRONTIDANO. - ME ZVELANAGELI GAXLAVART, FRONTIDAN AXLAXAN DAVBRUNDI. MCLAVSI DAWRILS MKNSEL GOGIA EQIM MOMVLINA DA SICOCXLE SEMNARCUNA, MRJVENAC MOKVETA MDLIEREBIS NISNAD MS OJAXS VEWVIE MMDA GACNOBOT ROM IGI KARGADAA DA KVLAV SEMRTEBIT EBRZVIS PIRSISXLIAN FASIZMS. EZO DU MLMA MOICVA, YVELAS CREMLI MOHGVARA EQIMS DEDA WAMDDGA, CREMLI TAVSAFRIS BOLOEBIT SEIMSRALA, MOMARS MEFERA DA MOWRIL XELZE EAMBORA.

● 1979 — UKANASKNEL XANS ZEMO MCXAAAN SA DA MRZAANSI DIDI YURADREBA DAETMO GZEBIS KETILMOWOBAS. GAFARTOVDA GZEBI, NAPIREBZE MDEWO BETONIS WALSAWRETI TXRILEBI, FEXIT MOSIARULETATVIS - TRO TUAREBI. WSRIGSI MOYVANES RAMS EL. NATUREBI. CENTRS AMVENEBS LAMZAD GAFOR EBULI STENDI. SOFLEBIS SESAVLEBES GAAKETES SANISNEEBI. MRZAANSIC XELAXLA IGEBA ASFALTI, MGRAM GULISTKIVLIT UNDA GACNOBOT, ROM ARBOSIKIS SAZRVARZE, SADAC WINAT EWERA WARWERA MRZAANI-AXLA VKITXULOBT SOFELI ZEMO MCXAAANI- RAC AR ARIS SWORI DA GULISWROMS IWVEVS. MRTALIA, AM SASOFLO SABWOSI GAERTIANEBULIA ORI SOFELI, MGRAM ES AR NISNAVS, TITQOS MRZAANI, ROGORC SOFELI ARAR ARSEBODES. ES YOVELIVE MTUMETIS MASIN, ROCA AM SOFLIS SAXELI MOFLIOS XELOVNEBISA DA KULTURIS MSAURTATVIS DIDI XANIA CNOBILIA. CVEN KI SANISNEC GAVAQRET. - WEREN MRZAANELI REDAQIAS.

(STILI DACULIA) GAZETI `ახალი შირაქი`

მომზადდა ილია მარტყოფილი

შეხვედრა მოძღვართან



26 მარტს ზემო მარზანის საჯარო სკოლაში სოფლის მოძღვარი, დეკანოზი გიორგი ჯინაშვილი მიიწვიეს, რომელმაც ისაუბრა ხორბლის უძველესი ჯიშების შესახებ, მათ შებარჩუნებასა და პურის სინმინდის მნიშვნელობაზე სასოფლო-სამეურნეო მემკვიდრეობაში. გარდა ამისა, მან ხაზი გაუსვა მენარმობის სასიცოცხლო როლს ინდივიდების ცხოვრებაში, ამის მაგალითად კი წარმოადგინა 20 წლის წინ საკუთარი ინიციატივით დაწყებული პურის სახლი „მადლიანის“ შესახებ, რომელიც ხორბლის უძველესი ჯიშების პოპულარიზაციასა და პურის სინმინდის შენარჩუნებას უწყობს ხელს.

სკოლის მოსწავლეებმა კი თავიანთი ცოდვის საფუძველზე წარმოადგინეს პრეზენტაცია „ხორბლის უძველესი ჯიშები“.

„აქტიუობა განხორციელდა USAID სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში. მედია ცენტრი კახეთის მხარდაჭერით. პროექტის ხელმძღვანელია: სამოქალაქო განათლების პედაგოგი მანანა ალადაშვილი. მადლობას ვუხდით მამა გიორგის საინტერესო და ნაყოფიერი შეხვედრისთვის!“ -- აცხადებენ ზემო მარზანის სკოლაში.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯინაშვილი და მუნიციპალიტეტის მერია თანაგრძობას უცხადებს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორს დოდო ხუნაშვილს დედის მანია ხუნაშვილის გარდაცვალების გამო.
მეუღლე - მიმოზა გოგიაშვილი; შვილები - ეთერი, ილია, ია ყაჭაშვილები; დისშვილები - ლალი და კობა პოპიაშვილები; რძლები - მაია და ნინო, სიძე - გოჩა; შვილიშვილები - გიორგი, დათო, ჯარჯი, დარი, ალექსანდრა, თედო, ელენე, ანასტასია; შვილთაშვილები - ლუკა და მართა ღრმა მწუხარებით იუნყებიან ზაიმა ილიას ქა ყაჭაშვილის გარდაცვალებას. დაიკრძალა 2 აპრილს, ქ.დედოფლისწყაროში.
მისიშვილი გოჩა გოგიაშვილი, დისშვილები თემური და თამილა ნადირაშვილები ოჯახებით იუნყებიან და ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მიმოზა გოგიაშვილის მეუღლის, შვილების ეთერის, ილიას და იას მამის ზაიმა ყაჭაშვილის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.
ნათელა ბილიაშვილი ოჯახით თანაგრძობას უცხადებს მიმოზა გოგიაშვილს მეუღლის, შვილებს ეთერი, ილია და ია ყაჭაშვილებს მამის ზაიმა ყაჭაშვილის გარდაცვალების გამო.
ინგა და ირმა შიოლაშვილები თანაგრძობას უცხადებს მიმოზა გოგიაშვილს მეუღლის, შვილებს ეთერი, ილია და ია ყაჭაშვილებს მამის ზაიმა ყაჭაშვილის გარდაცვალების გამო.
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის თანამშრომლები თანაგრძობას უცხადებენ დირექტორს დოდო ხუნაშვილს დედის მანია ხუნაშვილის გარდაცვალების გამო.
დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორს დოდო ხუნაშვილს დედის მანია ხუნაშვილის გარდაცვალების გამო.
გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ დოდო ხუნაშვილს დედის მანია ხუნაშვილის გარდაცვალების გამო.

„ალაზანში“ კაცი დაიხრჩო

უბედური შემთხვევა მოხდა დედოფლისწყაროს სოფელ სამთაწყაროში. საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ზოლიდან, მდინარე „ალაზანში“ 64 წლის კაცი ჩავარდა, რომელიც დინებამ გაიტაცა და დაიკარგა. თანმხლებმა პირებმა მომხდარი სამსახურეო შეატყობინეს, თუმცა მამაკაცის ცხედრის პოვნა მაშველებმა მხოლოდ მეორე დღეს შეძლეს. გარდაცვლილია სოფელ ქვემო ქედის მკვიდრი დიმიტრი კოტორაშვილი, რომელიც სავარაუდოდ სათევზაოდ იმყოფებოდა. ადგილობრივების ინფორმაციით, მამაკაცი ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ იყო, რამაც ნონასწრობა დააკარგვინა. ქვემო ქედში მერის რწმუნებული ალექსი დოჯურიშვილი ამბობს, რომ უბედური შემთხვევა 29 მარტს ღამით მოხდა, სამსახურეო ჯგუ-

ფმა კი ცხედრის პოვნა მეორე დღეს შეძლო. მისი თქმით, მამაკაცი დასაქმებული არ იყო და ის საოჯახო მეურნეობას მისდევდა. „შრომელი, ჭკვიანი, უწყინარი და ყველასთვის დაუზარელი ადამიანი იყო, ყველას პატივს სცემდა. ალკოჰოლის იშვიათად სვამდა. იმ დღისით სათევზაოდ წასულ ბიჭებს მდინარეზე გაჰყვა, სამთაწყაროს წყალსაქართან იყვნენ. როგორც ჩანს იქ დალიეს, მერე კი ისე ჩავარდა წყალში, თვითონაც არც ელოდებოდა. ამბობენ, გული გაუსკდაო. ძალიან ახლოს მისულა მდინარესთან და შემთხვევით ჩავარდა. დღეებს ითვლიდა როდის გავიდოდა პენსიაზე და სამწუხაროდ, ვერ მოესწრო“ -- აცხადებენ ქვემო ქედში. გარდაცვლილს მეუღლე და ერთი შვილი დარჩა. მომხდარზე გამოძიება შს დედოფლისწყაროს რაიონულ სამმართველოში დაიწყო.

სამყაროში სინათლის მაკიებელი მხატვარი

შავი მერცხლები საქართველოს ცაზე, მარადიული ცეცხლი და ყვავილები – ეს კომპოზიცია 2008 წელს შექმნა, მაშინ, როდესაც საქართველოს ცაზე შავი ღრუბლები კვლავ დაიგრაგნა. ნახატის ინსპირაციად ცნობილი ლექსის სტრიქონები იქცა: „დაბრუნდებიან ბუდის მერცხლები, ჩვენ კი არასდროს არ დავბრუნდებით“...

მანამდე იყო მხატვრობის სიყვარული და ოცნება-თავდაცვამდარაიყო მხატვარი და ეხატა ფიროსმანივით. მის გულშიც და შემოქმედებაშიც ფიროსმანს გამორჩეული ადგილი უკავია. თვლის, რომ ფერების შეზავების ტექნიკაში ნიკალას ბადალი არ ჰყავს. ნოდარ დარძული ზეთის საღებავებით მუშაობს. ამბობს, რომ აკვარელში მუშაობა ბევრად ძნელია, რადგან ნახატის კორექტირება გაცილებით რთული პროცესია, ზეთის საღებავები კი უკეთ ემორჩილება. როცა ნოდარ დარძული გარე სამყაროს სწყდება და საათობით სულმოუთქმელად ხატავს, თვითონ არ იცის, როგორ იშვება „უბრალო სიდიდეთა რკალებიდან“ (გალაკტიონი) თუნდაც: „მეუღლის პორტრეტი“, „ფიროსმანი“, თუ „ცხოვრების ფილოსოფია“...

პირველად მამის პორტრეტი დახატა, თითოეული ნაკეთი, ნაოჭი გამოუქანდა, ჯიუტი და ამაყი გამოხედვა მთელი კაცის ხასიათს საცნაურს მარტივად ხდის. ნამუშევარში პლასტიკური ნაკვეთები მოდელირებულია ტონალური გრადაციებით, შუქ-ჩრდილების აქცენტებით. მამის პორტრეტს დედის სახე მოჰყავს, შემდეგ-მეუღლის... ფუნჯი უკვე გაინაფა და ისტორიულ გმირებსა და სიუჟეტებს თავად არჩევდა... ბავშვობის ოცნება აუხდა, მხატვარი გახდა და პირველი პერსონალური გამოფენაც შედგა.

მისი ნამუშევრები ფართო საზოგადოებამ პირველად ქვემო ქედში, „გუაჰობაზე“ იხილა, თუმცა, გაზეთი „შირაქი“ შემოქმედის შესახებ ერთი წლის წინ გაამბობდათ. როგორც თავად ამბობს, სახალხო დღესასწაულზე საკუთარი შემოქმედების მხოლოდ მცირე ნაწილი ჰქონდა წარმოდგენილი.

2 აპრილს დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა ჩვენი თანამემამულის ნოდარ დარძულის პერსონალურ გამოფენას



უმასპინძლა. ექსპოზიციას ეხსენებოდნენ ხელოვნების მოყვარულები, მისი ოჯახის წევრები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

გამოფენას თავად მასპინძლობდა და მხატვრობის სამყაროში სტუმრების გზამკვლევიც თვითონ იყო. ყველა დამთვალიერებლის კითხვას პასუხობდა, ნახატის ყველა სიუჟეტს განიხილავდა და ინტერესებულ ადამიანებთან ერთად. განსაკუთრებით ნორჩმა დამთვალიერებლებმა გამოიჩინეს თავი, კითხვებიც დაუსვეს. ისიც სიამოვნებით აკმაყოფილებდა ყველას ინტერესს, ყურადღების მიღმა არავინ დარჩენია...

ნოდარ დარძული ქვემო ქედში დაიბადა და გაიზარდა. დამთავრა ქ. თბილისის თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი. აქ ის პროფესიული მხატვრობის ძირებს ჩასწვდა და შექმნა თავისი მრავალგანზომილებიანი ხელოვნება,

რომელშიც განფენილია, უპირველესად, რწმენა, წარმოსახვა, მითოსი, ეპოსი, რეალობა და ემოციები, მაგრამ ყველაზე მაღლა დგას სიმბოლო — ყოფიერების იდუმალი გარსი. მხატვრულ ურთიერთობისა და უცნაურობის განცდა ეუფლება. კომპოზიციები - „ბახტრიონი“ და „ცხოვრების ბორბალი“ დამთვალიერებლის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს.



მის ნამუშევრებში ფერს უდიდესი დატვირთვა აქვს და ნახატებში დიდი სიბოი იგრძნობა. ხატავს ზეთის საღებავებითა და აკრილით ტილოზე. „მასწავლებელი მყავდა ძალიან კარგი. პირვე-

ლად რომ დავხატე, ნამუშევარი დამინუნა. მერე წავედი მის სახელოსნოში და გამარკვია ტონალობაში“ — ამბობს ის. ტექნიკა თანდათან დახვეწა, ჩართო ფანტაზია და მას შემდეგ ხატავს...

ნახატი ჯერ არ გაუყიდა. ამბობს, რომ თუ დამკვეთი იქნება, მისთვის დახატავს არჩეული თემატიკის მიხედვით. მის ნახატებს კი თავიდანვე უცნაური ბედი დაჰყავს - ზოგი გააჩუქა, ზოგი - მოიპარეს. ფიროსმანი მისი სადიპლომო ნამუშევარი იყო. „რომ დავხატე, ლექტორს შევებენე, რომ ჩემთვის გამოეტანებინა. მან ნება დამართო, მაგრამ სამაგიერო ნამუშევრის დახატვა და დატოვება მომთხოვა. ასეც მოვიქეცი. მაგრამ ცოცხალი იხიცი ვილაცამ ჩამოხსნა. რომ მივედი, კედელი ცარიელი დამხვდა“ - იხსენებს ნოდარ დარძული.

შემოქმედებითი პროცესი მისთვის დღესაც ამოუცნობი ფენომენია. ხშირად ნახატი მის განწყობას ჰგავს. „ზოგიერთ ნამუშევარს მთელი წელი ვუნდები, გააჩნია განწყობას. მერე შესწორებებიც შემაქვს“.

ჯერ კიდევ როდენი გულგრილობას იჩენდა შინაარსის მიმართ. მისთვის მთავარი იყო ადამიანის სხეულის „მოძრაობა“, ანუ კომპოზიცია. სახელწოდებასა და შინაარსს მერე ეძებდა. ცნობილია, თავის ერთ კომპოზიციას სახელი ექვსჯერ შეუცვალა. ასეა ნოდარ დარძულიც. სამყაროში თბილ ფერებსა და სიკეთეს ეძებს. სწორედ ისეთს, როგორც ეს მის ნახატშია - „ფანტაზია“. სამყარო ლამაზია, მთავარია იქ მხოლოდ სინათლე და სილამაზე ვეძიოთ-ასეთია მხატვრის ცხოვრებისეული კრედი.

p.s. ნოდარ დარძულის გამომფენა მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ერთი თვის მანძილზე გასტანს.

**ინგა შიოლაშვილი
ჟუჟუნა ყანჩაშვილი**

ოლიმპიადის გამარჯვებული ზემო მარხაანიდან

სოფელ ზემო მარხაანის საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლემ **ნინო ყოჩიაშვილმა** 2023-2024 სასწავლო წლის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადის გამარჯვებულ მოსწავლეთა შორის ბიოლოგიაში პირველი ადგილი დაიკავა. ამის შესახებ ზემო მარხაანის სკოლა იუწყება.

„მის წარმატებაში ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის ბიოლოგიის მასწავლებელს, ლაურა მადლარაშვილს, მადლობას ვუხდით ქალბატონ ლაურას განუღებელი შრომისთვის. ზემო მარხაანის საჯარო სკოლა ულოცავს ნინო ყოჩიაშვილს ამ დიდ გამარჯვებას და მომავალში უსურვებს უამრავ წარმატებას!“, - აღნიშნავენ სკოლაში.



მადლიერება

გვინდა მადლობა გადავუხადოთ საქართველოს მთავრობას და „წითელ ჯვარს“ ჩვენი დაკარგული შვილის ნემტის მოძიებისა და იდენტიფიცირების მრავალწლიანი მუშაობისთვის. ასევე დიდი მადლობა დედოფლისწყაროს მერს ჩვენი დაფასებისთვის და მხარდაჭერისთვის. თანადგომისთვის მადლობას ვუხდით ზემო მარხაანის მოსახლეობას, სოფლის რწმუნებულს, გიორგი იაკობიშვილს, რომელმაც საკუთარი ინიციატივითა და ფინანსებით დაკარგულზე ტრანსპორტირება უზრუნველყო. დეკანოზ

გიორგის, დეპუტატ ვანო ნატროშვილს, ზემო მარხაანის სკოლას და განსაკუთრებით გოჩას საყვარელ მასწავლებელს, ნუნა ჩუბინიძეს. მადლობას ვუხდით ჟურნალისტ ილია მარტყოფილიშვილს და გაზეთ „შირაქის“ რედაქციას მუდმივი ყურადღებისა და მხარდაჭერის გამო. მადლობა გოჩას კლასელებს, მეგობრებს, ნათესავებს, მეზობლებს...

ყველას დიდი მადლობა ვინც დაგვფასა და ამ ემოციურ წუთებში ჩვენს გვერდით იყო.

დედა თალიკო და ანა ჰაპა-ჩაშვილები ზემო მარხაანიდან

აპრილი		დეკემბერი		ოქტომბერი		ნოემბერი		სექტემბერი		აგვისტო	
ორშაბათი 08.04	სამშაბათი 09.04	ოთხშაბათი 10.04	ხუთშაბათი 11.04	პარასკევი 12.04	შაბათი 13.04	კვირა 14.04					
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
11°	6°	18°	8°	17°	9°	17°	8°	20°	8°	20°	9°

გამომცემელი შპს „შირაქი“
 დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
 რედაქტორი **ილია მარტყოფილი**

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტიკა); ხათუნა ბანაშვილი (კორექტორი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანდაძე (საქონლ-მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
 ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ☎ 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, № 6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში - 20 ლარი

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.